



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის  
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი  
კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

მემკვიდრეობის კანონმდებლობის სრულყოფის  
საკითები

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

ირაკლი ტალიკაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი

რომან შენგელია

თბილისი

2021

## შინაარსი

ანოტაცია.....	3
Annotation.....	4
შესავალი.....	5
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა.....	7
თავი II. მემკვიდრეობა და მისი სახეები .....	16
თავი III. კოლიზიური საკითხები საერთშორისო კერძო სამართალში კანონით მემკვიდრეობის დროს.....	25
თავი IV. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ხარვეზები მემკვიდრეობის სამართალში..	30
4.1 კანონისმიერი მემკვიდრეობის რიგების სრულყოფის საკითხები.....	30
4.2 მემკვიდრეობის მიერ გაჩუქებული ნივთის სამკვიდროში ჩათვლა.....	36
4.3 საანდერძო დანაკისრის ხარვეზები კანონმდებლობაში.....	41
4.4 სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით სამკვიდრო მოწმობის მიღების პრობლემები .....	42
თავი V. კვლევის შედეგები.....	46
დასკვნა .....	47

## ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია მემკვიდრეობის არსი, მისი მარეგულირებელი ნორმების პრობლემური საკითხები, ასეთი ნორმების შედეგად, სასამართლო და სანოტარო პრაქტიკაში არსებული გამოწვევები, ასევე განხილულია კანონით მემკვიდრეობის კოლიზიური საკითხები საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით.

ნაშრომი მოიცავს შინაარსს, ანოტაციას, შესავალს, ხუთ თავს, ქვეთავებს, დასკვნასა და გამოყენებულ ლიტერატურას.

პირველ თავში, მიმოხილულია თემასთან დაკავშირებული ლიტერატურა, მეორე თავში განხილულია მემკვიდრეობის არსი და სახეები, მესამე თავი მოიცავს საერთაშორისო კერძო სამართლის მიხედვით კანონისმიერი მემკვიდრეობის საკითხებს, მეოთხე თავში გაანალიზებულია ძირითადი საკითხები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, გამოკვეთილია არსებული პრობლემები და შემოთავაზებულია მათი მოგვარების რეკომენდაციები, მეხუთე თავში მოკლედ არის წარმოდგენილი კვლევის შედეგები, ხოლო დასკვნაში შეჯამების სახით ერთიანადაა შემოთავაზებული რეკომენდაციები კანონმდებლობაში არსებული წინააღმდეგობრივი საკითხების დასაზუსტებლად და ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

## **Annotation**

The master's thesis discusses the essence of inheritance, the problematic issues of its regulatory norms, as a result of such norms, the challenges in court and notarial practice, as well as the conflicting issues of inheritance by law under private international law.

The work includes content, annotation, introduction, five chapters, subsections, conclusion and bibliographical references.

The first chapter reviews the literature related to the topic, the second chapter discusses the essence and types of inheritance, the third chapter covers the issues of legal inheritance under private international law, The fourth chapter analyzes the main issues according to the Civil Code of Georgia, identifies the existing problems and offers recommendations for their solution, the fifth chapter summarizes the results of the research, and the report summarizes the recommendations to clarify the contradictory issues in the legislation and eliminate gaps.

## შესავალი

მემკვიდრეობა წარმოადგენს გარდაცვლილი პირის უფლება-მოვალეობების გადასვლას მის უფლებამონაცვლეზე. უფლებამონაცვლე გარდაცვლილის მემკვიდრეა. მემკვიდრეობის უფლება დასაბამიდან არსებობს და მარადიულად იქნება ადამიანის არსებობის თანმდევი აუცილებლობა. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით აღიარებულია და უზრუნველყოფილია მემკვიდრეობის უფლება. საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე იცვლებოდა მემკვიდრეობის შინაარსი, აგრეთვე მემკვიდრეობის სახეები და ფორმებიც. მემკვიდრეობა ყველა შემთხვევაში საბოლოო მიზნად გარდაცვლილის ოჯახის წევრთა და ნათესავთა ინტერესების დაცვისკენ იყო მიმართული. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა ნებისმიერი ქვეყნის მემკვიდრეობის სამართლებრივი ნორმების ანალიზი.

**თემის აქტუალობა:** საქართველოში სამოქალაქო კანონმდებლობის ახალი ვარიანტის შემუშავებამ დღის წესრიგში დააყენა მემკვიდრეობის სამართლის პრობლემათა ახლებურად ხედვისა და გადაწყვეტის აუცილებლობა. მოქმედი სამართლებრივი ნორმების გამოყენების პროცესში გამოიკვეთა სასამართლო და სანოტარო პრაქტიკის დადებითი და ნაკლოვანი მხარეები. სამართლებრივ დოქტრინაშიც გაჩნდა წინადადებები მემკვიდრეობის სადავო საკითხების რაციონალურად გადაწყვეტის სურვილით. აღნიშნული ნათლად მიუთითებს მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების დამუშავების აქტუალობაზე.

**კვლევის მიზანია:** გამოკვეთოს თემის აქტუალობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებული, მემკვიდრეობის მარეგულირებელი ნორმების და მასთან დაკავშირებული საკითხების კვლევისას, გამოკვეთოს მათი სამართლებრივი თავისებურებანი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურისა ისე შესაბამისი პრაქტიკის საფუძველზე.

**კვლევის ამოცანები:** მემკვიდრეობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების გამოყენების პროცესში წამოჭრილი რეგულირების წინააღმდეგობრივი საკითხების დაზუსტება და კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება მემკვიდრეობის კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით.

**კვლევის მეთოდები:** კვლევა წარმოებულია თეორიულ მასალაზე დაყრდნობით, მემკვიდრეობის კანონმდებლობაში არსებული პრობლემური საკითხების კვლევისას გამოყენებული იქნა ისტორიული, სამართლებრივი, შედარებითი ანალიზისა და ლოგიკური დასკვნების მეთოდები. პირველ თავში-ლიტერატურის მიმოხილვა, გამოვიყენე ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, რომელიც დამეხმარა წარმოდგენა შემექმნა და დასკვნები გამეკეთებინა, თუ როგორ წარმოიშვა და ვითარდებოდა მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხები სხვადასხვა დროს და ადგილას. შემდგომ თავებში გამოვიყენე შედარებით-სამართლებრივი და

ლოგიკური დასკვნების მეთოდები, რათა უკეთ წარმომედგინა კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, მათი გამოყენების პროცესში წამოჭრილი პრობლემები, როგორც სასამართლო, ისე სანოტარო პრაქტიკაში და შემომეთავაზებინა მათი გადაჭრის გზები. აღნიშნული კვლევის მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს საკვალიფიკაციო შრომის სრულყოფილად წარმოდგენის შესაძლებლობას.

## თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

მემკვიდრეობის სამართალი იმ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობაა, რითაც განისაზღვრება გარდაცვლილის მიერ დატოვებული ქონების (სამკვიდროს) ბედი. მემკვიდრეობითი სამართალი საკუთრების სამართლის განშტოებაა,<sup>1</sup> ამიტომ მისი წარმოშობა და განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული საკუთრების ინსტიტუტთან. მემკვიდრეობის სამართლის არსებობას საზოგადოების ეკონომიური წყობილება განაპირობებს. აქედან გამომდინარე, მემკვიდრეობის სამართალი იცვლებოდა საზოგადოების ეკონომიკური განვითარების შესაბამისად. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ თავის მხრივ მემკვიდრეობის სამართალი ძალიან დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობების განვითარებასა და განმტკიცებაზე .

მემკვიდრეობის უფლება ადამიანის ერთ-ერთ უძველესი და ძირითად უფლებას წარმოადგენს. თანამედროვე გაგების სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობამდე დიდი ხნით ადრე, მემკვიდრეობის ინსტიტუტი გარდუვალი აუცილებლობით მკვიდრდებოდა და ვითარდებოდა. ადამიანთა საზოგადოება, საოჯახო ურთიერთობათ წარმოქმნასთან ერთად, მემკვიდრეობის ობიექტურად არსებული ურთიერთობების მონაწილე ხდებოდა.<sup>2</sup>

პირველყოფილი თემური წყობილების დროს, განსაკუთრებით კი მის ადრეულ საფეხურზე, როცა ადამიანის მოთხოვნილებები პრიმიტიული და მწირი იყო, თანამედროვე გაგებით მემკვიდრეობა არ არსებობდა, თუნდაც იმიტომ, რომ არ არსებობდა მემკვიდრეობით გადასაცემი ქონება. ამ დროს წარმოშობილი ქონებრივი ურთიერთობები საზოგადოებაში არსებული მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებითა და წეს-ჩვეულებებით რეგულირდებოდა.<sup>3</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ მემკვიდრეობის სამართალი საკმაოდ კარგად იყო დარეგულირებული რომის სამართალში. მემკვიდრეობის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობითი სამართალი რეგულირდებოდა მის ქონებასთან დაკავშირებული საკითხები.

მემკვიდრეობის საკითხები რომის სამართლის მიხედვით საკმაოდ ნათლად აქვს განხილული გივი ლობჯანიძეს წიგნში, „რომის სამოქალაქო (კერძო) სამართალი“, სადაც იგი აღნიშნავს, რომ რომის სამართალში განასხვავებენ უნივერსალურ მემკვიდრეობას, როდესაც წინამორბედი პირის სამართლებრივი ვითარება მთლიანად სხვა პირზე გადადიოდა და

<sup>1</sup> ვ. მეტრეველი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2003, გვ. 376

<sup>2</sup> რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2019, გვ. 311

<sup>3</sup> იქვე, გვ. 311

სინგულარულ მემკვიდრეობას, როცა მემკვიდრეობის სუბიექტი იძენდა მხოლოდ იმ უფლებების ნაწილს, რომელიც მანამდე მის წინამორბედს ეკუთვნოდა.<sup>4</sup> გარდა ამისა, რომის სამართალი ასევე იცნობდა მემკვიდრეობით ქონების მიღების, როგორც ანდერძისმიერ გზას, ასევე უანდერძო ფორმას. თუმცა აღსანიშნავია, რომ მამკვიდრებელს არ შეეძლო უშუალოდ მისი მემკვიდრეების შვილის, მეუღლის და ა.შ უფულებელყოფა.<sup>5</sup> ანუ რომის სამართალი იცნობდა ცნებას, რომელსაც დღეს სამოქალაქო კოდექსში სავალდებულო წილს ვუწოდებთ.

მემკვიდრეობის უფლება, გარდა უშუალოდ კანონისა, დაცული იყო ცივილური სარჩელით (ვინდიცატიო ჰერედიტატის), რომელსაც ჰერედიტატის პეტითო ეწოდებოდა.

გარდა ამისა, მემკვიდრეობა ანდერძის გარეშე (აბ ინტესტატო) 12 დაფის კანონებითაც რეგულირდებოდა. თუ მამკვიდრებელი ანდერძს არ დატოვებდა, სამკვიდრო იხსნებოდა აგნატების (სისხლით ნათესავი), ხოლო მათი არ არსებობის შემთხვევაში, მოგვარების (გენტილეს) სასარგებლოდ.<sup>6</sup>

12 დაფის კანონებით, დადმავალი ხაზის უშუალო ნათესავების არარსებობის შემთხვევაში, მემკვიდრის ადგილს იკავებდა მამკვიდრებლის (დე ციუს) გვერდითი ხაზის ნათესავი. ნათესაობის სიახლოვე კონკრეტული მამკვიდრებლისგან (დე ციუს) აითვლებოდა. თუ მას ღვიძლი ძმა (მეორე რიგის ნათესაობა) ჰყავდა, მაშინ იმავე თაობის ბიძაშვილი, როგორც უფრო შორეული ნათესავი (მესამე რიგის ნათესავი) მემკვიდრედ არ მოიწვეოდა.

მეორე რიგის ნათესავები კანონის თანახმად, აუცილებელი მემკვიდრეები არ იყვნენ; ამიტომ მემკვიდრეობის მიღება საგანგებო აქტს საჭიროებდა.

როგორც ვხედავთ ანდერძის გარეშე მემკვიდრეობა აგნატურ-ნათესაურ კავშირს ეფუძნებოდა.

რაც შეეხება ანდერძით მემკვიდრეობას, როგორც გ. ლობჟანიძე აღნიშნავს, ანდერძი იყო პირის ნების სამართლებრივად დადგენილი და საზეიმო ფორმით შედგენილი გადაწყვეტილება, რომელსაც სავალდებულო ძალა მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ ენიჭებოდა.

ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ რომის სამართალმა დაადგინა, რომ მამის გარდაცვალებიდან ათი თვის განმავლობაში დაბადებული ბავშვი (პოსტუმუს), მამის მემკვიდრე (დე ციუს) ხდებოდა. გარდა ამისა, რომის სამართალი იცნობდა საანდერძო დანაკისრის (ლეგატამ) ინსტიტუტსაც. საანდერძო დანაკისრის (ლეგატა) მიზანი ლეგატარიუმისათვის მოგების მოტანა იყო და არა მემკვიდრის მდგომარეობის გაუარესება. თუ საანდერძო დანაკისრი (ლეგატუმ) მემკვიდრის დასჯას (ლეგატუმ პონენაე ნომინე ცაუსა)

<sup>4</sup> გ. ლობჟანიძე, რომის სამოქალაქო (კერძო) სამართალი, ქუთ., 2009, გვ. 103

<sup>5</sup> იქვე, გვ. 112

<sup>6</sup> იქვე, გვ. 104



ისახავდა მიზნად, მაშინ ის ბათილდებოდა. მიუხედავად ამისა, ლეგატი არის მემკვიდრეობის შემცირება, რითაც მოანდერძეს სურს მესამე პირს გადასცეს იმ ქონების ნაწილი, რასაც მემკვიდრე მთლიანად მიიღებს. რომის სამართლით ლეგატის გადაცემა მხოლოდ მემკვიდრეზე შეიძლებოდა.

შემდეგში შედარებით თანამედროვე ცნობები, სამემკვიდრეო სამართლის შესახებ მოიპოვება ს. მარქსი და ფ. ენგელსის ნაწერებში. "სამემკვიდრეო სამართლის საფუძველი, თუ ოჯახის განვითარების ერთნაირ საფეხურს ვიგულისხმებთ, ეკონომიურია. მიუხედავად ამისა, ძალიან ძნელი იქნება იმის დამტკიცება, რომ მაგალითად, ინგლისში ანდერძთა აბსოლუტურ თავისუფლებას, ანდა საფრანგეთში ამ თავისუფლების ძლიერ შეზღუდვას, ყველა თავის დეტალში მხოლოდ ეკონომიური მიზეზები ჰქონდეს. მაგრამ ერთიც და მეორეც მნიშვნელოვნად მოქმედებენ ეკონომიკაზე იმით, რომ გავლენას ახდენენ ქონების განაწილებაზე."

ფ. ენგელსმა თავის შრომაში "ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა" მრავალი ისტორიულ-დოკუმენტალური მასალის შესწავლის საფუძველზე მეცნიერულად დაამტკიცა, რომ ჯერ კიდევ პირველყოფილ გვაროვნულ საზოგადოებაში არსებობდა მემკვიდრეობის ინსტიტუტის ჩანასახი. ამ პერიოდში გარდაცვალებულის ქონება გვარში უნდა დარჩენილიყო და მას მემკვიდრეობის წესით ღებულობდნენ გარდაცვალებულის უახლოესი მოგვარეების - სისხლის ნათესავები დედის მხრივ.

გვაროვნული საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარი ასეთი ცვლილებების შესაბამისად, იცვლება ოჯახის წევრთა უფლებრივი მდგომარეობა, ისპობა ადამიანთა წარმოშობის გამორკვევა დედის უფლების მიხედვით და აქედან გამომდინარე ტრადიციული მემკვიდრეობის წესი.

შემდეგში მამის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილ ქონებას მემკვიდრეობის წესით ღებულობდნენ მისი შვილები, მაგრამ თუ გარდაცვალებულს შვილები არ ჰყავდა, ქონებას მემკვიდრეობის წესით თანამოგვარენი ღებულობდნენ. "საერთო წესად ითვლება, რომ ამა თუ იმ გარდაცვალებულის ქონება არ შეიძლება გავიდეს გვარიდან. ამ მხრივ გილიაკებთან ზედმიწევნით ბატონობს თორმეტი ტაბულის ცნობილი წესი - თუ საკუთარი მემკვიდრეები არ ჰყავს, მემკვიდრეობას ღებულობენ თანამოგვარენი."<sup>7</sup>

როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, "საზოგადოების განვითარების ამ საფეხურზე, ჯერ კიდევ ლაპარაკიც არ შეიძლება უფლებაზე იურიდიული აზრით." რადგან ასეთი უფლების განხორციელება წარმოებს საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების იძულებითი აპარატის გარეშე.

---

<sup>7</sup> ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1938, გვ. 185

პირველყოფილი გვაროვნული საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე უკვე არსებობს მემკვიდრეობის ინსტიტუტის ჩანასახი, მაგრამ აქ ჯერ კიდევ არ არსებობს მემკვიდრეობის სამართალი. "მემკვიდრეობის სამართალი შეიძლება და მხოლოდ მაშინ გაჩენილიყო, როცა კერძო საკუთრება გაჩნდა, ესე იგი მას შემდეგ, რაც საგვარეულო სახლი პატარ-პატარა სახლობებად დაიყო." <sup>8</sup>

სამართლის წარმოშობისა და განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ შრომის დანაწილებისა და კერძო საკუთრების უფლების აღმოცენებასთან დაკავშირებით იქმნება ისეთი სამართლებრივი ნორმების შემუშავების აუცილებლობა, რომლის საფუძველზე წესრიგდება სამართლის სუბიექტთა უფლებრივი ურთიერთობა.

ბურჟუაზიულმა ფილოსოფოსებმა და იურისტებმა თავიანთი კლასის - ბურჟუაზიის ინტერესების მოთხოვნილებათა შესაბამისად, რომის სამართლის საწყისებსა და პრინციპებზე შეიმუშავეს მრავალი რეაქციული, იდეალისტური თეორია მემკვიდრეობის სამართლის არსისა და ბუნების განსაზღვრის შესახებ. სამართლის ბურჟუაზიული თეორიები სხვადასხვა ფორმით და მეთოდით უარყოფენ რა მემკვიდრეობის სამართლის კლასობრივ და ისტორიულ ხასიათს, ამტკიცებენ, რომ იგი უცვლელი და მარადიული კატეგორიაა ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის.

ბუნებითი სამართლის თეორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ჰუგო გროციუსი, უარყოფს რა მემკვიდრეობის სამართლის კლასობრივ და ისტორიულ ხასიათს, ამტკიცებს, რომ "მემკვიდრეობის სამართალი მთლიანად შეესაბამება ბუნების მოთხოვნებს და ბუნების მსგავსად საზოგადოებრივი მოვლენებისა და ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად მარადიულად არსებობს. ბუნებრივია, რომ ადამიანი თავის ქონებას უანდერძებს შვილებს, რომელთა მიმართ მზრუნველობა მას ბუნებისაგან აქვს შთაგონებული, ხოლო უკეთეს შვილები არ არიან, სამემკვიდრეო ქონება უნდა გადაეცეს გარდაცვალებულის სხვა უახლოეს ნათესავებს."<sup>9</sup>

მემკვიდრეობის სამართალი გროციუსის აზრით, მარადიული და უცვლელი კატეგორიაა, ისევე როგორც მარადიული და უცვლელია ადამიანის გონება და მისი ბუნება.

მე-17 საუკუნის გამოჩენილმა ფილოსოფოსმა ლაიბნიცმა მემკვიდრეობის სამართლის არსებობას მისცა წმინდა თეოლოგიური დასაბუთება. ლაიბნიცის იდეალისტური ფილოსოფიის თვალსაზრისით, მემკვიდრეობის სამართალს საფუძვლად უდევს უკვდავი სულის იდეა. მისი აზრით, ადამიანი გარდაცვალების შემდეგაც განაგრძობს არსებობას, ამიტომ კვლავ რჩება თავისი ქონების მესაკუთრედ, ხოლო მემკვიდრეები არიან გარდაცვალებულის რწმუნებულნი სამკვიდრო ქონების გამგებლობის საქმეში.

<sup>8</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, თბ., 1929, გვ. 376

<sup>9</sup> ამ თავში, აქ და ქვემოთ უცხოური ლიტერატურა გამოყენებულია გ.ლობჯანიძის დასახელებული შრომიდან.

"მემკვიდრეობის სამართლის ინსტიტუტის გამოყენება, - ამბობდა ჰეგელი, - უნდა წარმოებდეს გვარის ბრწყინვალეებისა და საკუთრების თავისუფლების შესანარჩუნებლად". ამ დებულებით ჰეგელმა, რომელმაც თავისი ფილოსოფია მთელი მსოფლიო აზროვნების განვითარების დასასრულად გამოაცხადა, გამოხატა რეაქციული ბურჟუაზიის თვალსაზრისი კერძო საკუთრების, როგორც კაპიტალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ურყევი საფუძვლის, მარადიულობისა და ხელშეუხებლობის შესახებ.

ზოგიერთი ბურჟუაზიული ავტორი იძლევა მემკვიდრეობის სამართლის ფსიქოლოგიურ დასაბუთებას.

რეაქციული ბურჟუაზიის თვალსაჩინო იდეოლოგი ჩიჩერინი თავის წიგნში "საკუთრება და სახელმწიფო" იძლევა მემკვიდრეობის სამართლის ფსიქოლოგიურ დასაბუთებას და ამტკიცებს, რომ მემკვიდრეობის უფლება საკუთრების უფლების მსგავსად, "ადამიანის სულის უღრმეს თვისებებში მარხია", იგი წარმოადგენს ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის აუცილებელ კუთვნილებას.

მემკვიდრეობის სამართალი ჩიჩერინის აზრით, წარმოადგენს მსოფლიო მოვლენას, იგი არსებობს ყველა ხალხში. ეს სამართალი არ არის დადგენილი ადამიანის ნებით, არამედ იგი გამომდინარეობს იმ ბუნებრივი კანონებიდან, რომლებიც აწესრიგებენ შთამომავლობათა უფლებამონაცვლებას.

ამრიგად ჩიჩერინი ამტკიცებს, რომ მემკვიდრეობის სამართალი არის არა ისტორიული, არამედ ადამიანის ბუნების მსგავსად მარადიული კატეგორია ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციისთვის.

ბურჟუაზიის იდეოლოგთა თეორიების მიზანია მიჩქმალონ სახელმწიფოსა და სამართლის კლასობრივი ბუნება, დაიცვან და განამტკიცონ ბურჟუაზიული საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილება.

ისეთ საზოგადოებაში, რომლის არსებობის საფუძველს მშრომელთა ფართო მასების ექსპლოატაცია წარმოადგენს, მემკვიდრეობის ინსტიტუტი ხელს უწყობს ექსპლოატატორთა კერძო საკუთრებაზე დამყარებული ძალაუფლების გაძლიერებას და სხვისი ფასგადაუხდელი შრომის პროდუქტების მითვისებას. "მემკვიდრეობის უფლებას, - ამბობს მარქსი, - სოციალური მნიშვნელობა მხოლოდ იმდენად აქვს, რამდენადაც იგი მემკვიდრეს უტოვებს იმ ძალაუფლებას, რომელსაც გარდაცვალებული ფლობდა სიცოცხლეში, სახელდობრ, ძალაუფლებას - თავისი საკუთრების საშუალებით მითვისოს სხვისი შრომის პროდუქტები. ამიტომ ჩვენი დიადი მიზანი იმ ინსტიტუტების მოსპობაში უნდა მდგომარეობდეს, რომლებიც ზოგიერთ ადამიანებს მათი სიცოცხლის განმავლობაში ანიჭებენ ეკონომიურ უფლებას - მითვისონ მრავალთა შრომის ნაყოფი."

წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის იდეოლოგები სენ-სიმონი და მისი მოწაფეები მემკვიდრეობის სამართალს იხილავდნენ როგორც მოქალაქეთა ქონებრივი უთანასწორობის მიზეზს, ამის გამო მათ წამოაყენეს მოთხოვნა ყოველგვარი რევოლუციური მოქმედების გარეშე მემკვიდრეობის ინსტიტუტის გაუქმებისა და გარდაცვალებულის სამკვიდრო ქონების სახელმწიფოს განკარგულებაში გადასვლის შესახებ. სენ-სიმონის მოძღვრება არ ისწრაფვის მოახდინოს გადატრიალება, რევოლუცია, იგი მოგვევლინა იმისთვის, რომ გვიწინასწარმეტყველოს და განახორციელოს გარდაქმნა, ევოლუცია.

ბურჟუაზიული მემკვიდრეობის სამართლის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს:<sup>10</sup>

- ✓ მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა,
- ✓ წარმოების იარაღთა და საშუალებათა კერძო საკუთრების განუსაზღვრელი თავისუფლება,
- ✓ მოქალაქეთა საყოველთაო თანასწორუფლებიანობისა და ხელშეკრულებათა თავისუფლების ფორმალურად აღიარება,
- ✓ მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ესქპლოატაციის, გაჩანაგებისა და გალატაკების გზით.

ბურჟუაზიული მემკვიდრეობის სამართლის საპირისპიროდ საბჭოთა მემკვიდრეობის სამართლის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს:<sup>11</sup>

- ✓ მეურნეობის სოციალისტური სისტემა,
- ✓ სოციალისტური საკუთრება,
- ✓ მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით,
- ✓ პირადი საკუთრების მემკვიდრეობის უფლება,
- ✓ პირადი მატერიალური დაინტერესება,
- ✓ საზოგადოებრივ პროდუქტთა შრომის მიხედვით დანაწილება,
- ✓ მემკვიდრეთა თანასწორუფლებიანობა და საბჭოთა ოჯახის განმტკიცება.

როგორც ვხედავთ სოციალისტური რევოლუციის შედეგად, ისპობა ბურჟუაზიული საზოგადოების ბაზისი და მათ ნაცვლად წარმოიშობა სოციალისტური საზოგადოების ბაზისი.

ქართულ სამემკვიდრეო სამართლის შესახებ ცნობები საკმაოდ ადრეული პერიოდიდან მოგვეპოვება, თუმცა წერილობითი სახით ძალიან ცოტა ცნობები შემოგვრჩა, ჩვენამდე არ

<sup>10</sup> ს. ჯაფარიძე, საბჭოთა მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 1960, გვ. 17

<sup>11</sup> იქვე, გვ. 18

მოუღწევია არცერთ საერო სამართლის ძეგლს, მაგრამ ჰაგიორგრაფიულ ძეგლებსა და "ქართლის ცხოვრების" მატთანში არსებული ცნობები იმაზე მეტყველებენ, რომ საქართველოში საკმაოდ განვითარებული მემკვიდრეობითი სამართალი უნდა ყოფილიყო. მაგალითად, კანონიკური სამართლის ძეგლი - "დიდი სჯულის კანონი" ძალიან საინტერესო ცნობებს იძლევა ანდერძისმიერი მემკვიდრეობის შესახებ. ასევე, ანდერძისმიერი მემკვიდრეობის სამაგალითო საბუთად გვევლინება XII საუკუნის ძეგლი - ქართლის ერისთავის გრიგოლ სურამელის ანდერძი შიომღვიმისადმი.<sup>12</sup> ფეოდალური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი კარგად ჩანს ბაგრატ კურაპალატის სამართალშიც,<sup>13</sup> სადაც საუბარია ოჯახის გაყრისას მემკვიდრეობის ბედზე.

ასევე მემკვიდრეობის ურთიერთობებს აწესრიგებდა, შუა საუკუნეების ფეოდალური სამართლის ძეგლი ბექა აღბუღას სამართალი.<sup>14</sup> მასში შედარებით სრულყოფილადაა წარმოჩენილი ანდერძის ცნება და სამკვიდროსაგან გაყენება.

გიორგი ბრწყინვალის სამართალში განხილულია მამულის მფლობელობასთან დაკავშირებული საკითხები. მემკვიდრეობის ურთიერთობას რამდენიმე მუხლი ეხება. ფეოდალური მემკვიდრეობითი ურთიერთობანი ყველაზე სრულყოფილად მაინც ვახტანგ VI-ის სამართალშია წარმოდგენილი.<sup>15</sup> ამ ძეგლით დაწვრილებითაა მოწესრიგებული აღმავალი და გვერდითი ხაზის ნათესავთა სამემკვიდრეო უფლებები.

საქართველოს "ჩვეულებითი სჯული", რომელიც XIX საუკუნის დასაწყისშია შეკრებილ-შედგენილი, ეხება გარდაცვლილის ქონების იურიდიულ ბედს და ოჯახის გაყრასთან დაკავშირებულ საკითხებს. მასში შვილების სამემკვიდრეო უფლებებთან ერთად მოწესრიგებულია გვერდითი ხაზის ნათესავთა სამემკვიდრეო უფლებებიც.<sup>16</sup> ფეოდალური მემკვიდრეობითი სამართლის ერთერთ მნიშვნელოვან წყაროს ასევე წარმოადგენდა სასამართლო პრაქტიკა. საინტერესო ცნობები მოიპოვება ქართველ მთიელთა მემკვიდრეობითი სამართლის საკითხებზეც.

როგორც ვალერიან მეტრეველი აღნიშნავს, ქართულ მემკვიდრეობით სამართალს სწავლობდნენ: მ. კოვალევსკი, ივ. ჯავახიშვილი, ი. სურგულაძე, ი. დოლიძე, დ. ფურცელაძე, ა. ვაჩიშვილი, გ. ნადარეიშვილი დაქართველი ეთნოგრაფები, თუმცა ამომწურავად აღნიშნული პრობლემა შეისწავლა ბ. ზოიძემ თავის სადოქტორო დისერტაციაში „ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი“<sup>17</sup>

<sup>12</sup> ქართული სამართლის ძეგლები, საერთო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს), ტ. 2 თბ., 1965, გვ. 39

<sup>13</sup> ვახტანგ VI –ის სამართლის წიგნთა კრებული, ტ. I, თბ., 1963, გვ. 466

<sup>14</sup> იქვე, გვ. 430-471

<sup>15</sup> იქვე, გვ. 480-550

<sup>16</sup> ი. დოლიძე, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ., 1960, გვ. 41-80

<sup>17</sup> ვ. მეტრეველი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2003, გვ. 376

სამემკვიდრეო სამართალს თავის დროზე დიდი ყურადღება დაუთმო აკად. ივ. ჯავახიშვილმა და ცალკე თავად განიხილა თავის სამართლის ისტორიაში. მისი აზრით, სამემკვიდრეო სამართლის წარმოშობა უკავშირდება პერიოდს, როდესაც საგვარეულო სახლი, პატარ-პატარა სახლობად დაიყო.<sup>18</sup>

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, უკვე VIII-IX საუკუნეებში საქართველოში მემკვიდრეობითი სამართალი არსებობდა. თუმცა მეცნიერთა უმრავლესობა არ უარყოფს, რომ მემკვიდრეობის დაუწერელი ადათ-წესები არსებობდა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე.<sup>19</sup>

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ქართული მემკვიდრეობითი სამართლის მიხედვით მემკვიდრეებად გამოდიოდნენ როგორც ვაჟები, ისე ქალები. მაგრამ ქალი იმ შემთხვევაში ხდებოდა მემკვიდრე თუ იგი გათხოვილი არ იყო ან როდესაც სახეზე არ იყო მამრობითი სქესის მემკვიდრეები და მამაული ისე რჩებოდა, ამ შემთხვევაში ქონება მდედრობითი სქესისა და მისი შთამომავლობის ხელში გადადიოდა. თუკი საერთოდ არცერთი სქესის მემკვიდრე არ არსებობდა მამულს მეფე, სახელმწიფო ეპატრონებოდა და ის ხდებოდა მესაკუთრე. ასეთი იყო ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებანი კანონისმიერ მემკვიდრეობაზე.<sup>20</sup>

ივ. ჯავახიშვილი იხილავს მემკვიდრეობის ანდერძისმიერ ფორმასაც, მისი აზრით, ქართული ანდერძის სამართლებრივი ბუნება იდენტურია რომაული სამართლისა და მას მისდევს. მისი თქმით, ანდერძი იყო მესაკუთრის ნება წინასწარ, სიტყვიერად ან წერილობით განეცხადებინა ვის უნდა გადასცემოდა ქონება, არა ჩვეულებითი სამართლის მიხედვით და კანონით, არამედ მის მიერ აღნიშნული რიგითა და რაოდენობით ან ზოგიერთ მემკვიდრეს სულ არ მიეღო წილი. ე. ი. მისი აზრით არსებობდა როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ანდერძი.<sup>21</sup>

იმ დროიდან მოყოლებული გარანტირებული იყო მამკვიდრებლის თავისუფალი ნება და დადგენილი იყო ანდერძის შედგენის გარკვეული წესები, იმ შემთხვევაში, როდესაც მოანდერძის ნების გამოხატვა დიდი მნიშვნელობის საქმეს შეეხებოდა, უნდა შედგენილიყო ანდერძი, მასში დაცული უნდა ყოფილიყო ანდერძის ფორმა ანუ კანონიერი ფორმა უნდა ჰქონოდა. ანდერძში მამკვიდრებლის ნება უნდა გამოკვეთილიყო და არა იძულება, მოანდერძე სრულ ჰკუთნა უნდა ყოფილიყო, მას შეეძლო საკუთრი ხელით დაეწერა ანდერძი, მიეთითებინა საკუთარი ვინაობა და აუცილებლად ხელი მოეწერა, წერა-კითხვის არ ცოდნის შემთხვევაში

<sup>18</sup> გ. ლობჟინძე, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2015, გვ. 280

<sup>19</sup> <https://elawjournal.wordpress.com/2012/11/09/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%A3/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -15.05.2021

<sup>20</sup> ვ. მეტრეველი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2003, გვ. 377

<sup>21</sup> იქვე, გვ. 378

თავისი სურვილისამებრ სხვას უნდა მოეწერა ხელი. ანდერძის ნამდვილობის დასადგენად საჭირო იყო მოწმეების დასწრება და მათი ხელმოწერაც.<sup>22</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ დასმულა კითხვა თუ რომელი იყო პირველი კანონისმიერი მემკვიდრეობა თუ ანდერძისმიერი, სამართლის ისტორიკოსთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ არ შეიძლება საკითხის ასე დასმა და მემკვიდრეობის ორივე ფორმა წარმოიშვა და ვითარდებოდა ერთდროულად. ბესარიონ ზოიძის აზრით კი „სწორად უნდა ჩაითალოს კონცეფცია, რომელიც თვლის, რომ ჯერ გაჩნდა კანონისმიერი მემკვიდრეობა და ამის შემდგომ კი - ანდერძისმიერი“<sup>23</sup> საპირისპირო აზრზეა ვალერიან მეტრეველი „ ჩვენ ვემხრობით იმ ავტორთა მოსაზრებას, რომლებიც თვლიან ანდერძისმიერი მემკვიდრეობის პირველობას“.<sup>24</sup>

ასევე თანამედროვე ქართველი ავტორებიდან აღსანიშნავია, ზ. ახვლედიანის მემკვიდრეობის სამართალი, სადაც სრულყოფილადაა განხილული სამემკვიდრეო სამართლის ყველა ასპექტი, ნაშრომში გამორკვეულია მემკვიდრეობის თავისებურებანი და დადგენილია, რომ იგი შეუზღუდავი ბუნებისაა, ისე როგორც რომაულ სამართალში.

თანამედროვე ლიტერატურიდან ასევე აღსანიშნავია რ. შენგელია და ე. შენგელიას მემკვიდრეობის სამართალი, სადაც კარგად არის განხილული თანამედროვე საქართველოს სამემკვიდრეო სამართალი. აღნიშნულია, რომ მემკვიდრეობითი სამართალი იმ ნორმათა ერთობლიობაა, რომელიც გარდაცვლილი პირის ქონების სხვა პირზე გადასვლასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს.<sup>25</sup>

აღსანიშნავია ასევე ლ. ნადიბაიძის საკუთრების შეძენის სამართლებრივი საფუძვლები. განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ მემკვიდრეობის გარდა სამკვიდროზე უფლება წარმოეშევა ლეგატარსაც, რომელიც ამ უფლებას იძენს საანდარძო დანაკისრის მიღების გზით.<sup>26</sup>

აღნიშნულ თეორიულ მასალასთან ერთად აღსანიშნავია, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კომენტარები, ნაშრომში გარდა სამეცნიერო ლიტერატურისა, გამოყენებული იქნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და სასამართლო პრაქტიკაში არსებული მაგალითები.

<sup>22</sup> ვ. მეტრეველი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2003, გვ. 378

<sup>23</sup> ბ. ზოიძე, ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობითი სამართალი, ბათ., 1992, გვ. 10

<sup>24</sup> ვ. მეტრეველი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2003, გვ. 380

<sup>25</sup> რ. შენგელია, ე. შენგელია, მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2011, გვ. 10

<sup>26</sup> ლ. ნადიბაიძე, საკუთრების შეძენის სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2002, გვ. 96

## თავი II. მემკვიდრეობა და მისი სახეები

მემკვიდრეობის ინსტიტუტის არსი უმნიშვნელოვანესია მსოფლიო და მათ შორის ქართული კანონმდებლობითაც, ამას მოწმობს ქვეყნის ძირითად კანონში, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლში არსებული ჩანაწერი: „საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.“<sup>27</sup> საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება ერთად ქმნის იმ საზოგადოებრივი წყობილების არსებით ელემენტებს, რომლებიც, თავის მხრივ, ადამიანის კერძო ავტონომიის პრინციპს ემყარება. აღნიშნული ჩანაწერი ქვეყნის უზენაეს კანონში უზრუნველყოფს, როგორც მამკვიდრებლის უფლებას საკუთარი სურვილისამებრ განკარგოს ქონება, ასევე მემკვიდრის უფლებას - მიიღოს მემკვიდრეობა.

გარდა საქართველოს კონსტიტუციისა, მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირებულია საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსით. სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მემკვიდრეობა განიმარტება, როგორც გარდაცვლილი პირის ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების გადასვლა სხვა პირზე, მემკვიდრეობის სამართლის ნორმების შესაბამისად.<sup>28</sup>

აქვე საჭიროდ მივიჩნევთ განვმარტოთ მამკვიდრებლისა და მემკვიდრის ცნების მნიშვნელობა.

✓ მამკვიდრებელი - კონკრეტული ნივთის, ქონების მესაკუთრეა, რომლის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება სხვა პირებზე გადადის. მამკვიდრებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. გარდა ამისა კანონით მემკვიდრეობისას მნიშვნელობა არ აქვს მამკვიდრებლის ასაკს და ქმედუნარიანობას, თუმცა ეს მნიშვნელოვანია ანდერძით მემკვიდრეობის დროს.

✓ მემკვიდრე - პირი, რომლის სახელზეც გადადის მამკვიდრებლის მიერ დატოვებული ქონება. მამკვიდრებლისგან განსხვავებით მემკვიდრე შეიძლება იყოს, როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირი, რომელიც ცოცხალი / დაარსებული იყო მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტისათვის ან დაიბადა მისი გარდაცვალებიდან ათი თვის განმავლობაში.

მემკვიდრეობის უფლება ჯერ კიდევ სამართლის წარმოშობამდე არსებობდა. მამიდან შვილზე გადადიოდა მის საკუთრებაში არსებული ნივთები, გადაცემის პროცესი კი

<sup>27</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 22.05.21

<sup>28</sup> რ.შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2019, გვ. 310



საზოგადოებაში არსებული წეს-ჩვეულებებით რეგულირდებოდა. მას შემდეგ მემკვიდრეობის სამართლისადმი ინტერესი არ ცხრება. ვიდრე იარსებებს კერძო საკუთრება და საზოგადოება იცხოვრებს საბაზრო მეურნეობის პრინციპებზე დაყრდნობით, მემკვიდრეობითი ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირებისადმი ინტერესი კვლავ გაიზრდება.<sup>29</sup>

თანამედროვე პირობებში წარმოუდგენელია საზოგადოების არსებობა მემკვიდრეობის სამართლის გარეშე. რადგან ეს გამოიწვევდა უამრავ გაუგებრობას, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ როგორც გარდაცვლილის ოჯახის წევრები, ასევე მისი კრედიტორები. გარდა ამისა ადამიანსაც გაუქრებოდა დოვლათის მოპოვების მოტივაცია თუ არ ექნებოდა იმედი, რომ მის მიერ მოპოვებული ქონება/სამკვიდრო მისი გარდაცვალების შემდეგ, მისთვის სასურველ ადამიანებს გადაეცემოდათ.

მემკვიდრეობის სამართალში სამკვიდრო ყველაზე აუცილებელი კომპონენტს წარმოადგენს. თუ არ არსებობს სამკვიდრო არ იქნება მემკვიდრეობაც.<sup>30</sup>

სამკვიდრო შეიცავს გარდაცვლილის, როგორც ქონებრივი უფლებების, ისე მოვალეობების ერთობლიობას, რომელიც მამკვიდრებელს ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის.<sup>31</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ სამკვიდროში არ შედის პირადი ხასიათის ის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს. ასევე უფლებები, რომლებიც მხოლოდ კრედიტორის ან მოვალის სიცოცხლეში არსებობს და წყდება მისი გარდაცვალებით. საუბარია, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1330-ე მუხლზე, სადაც აღნიშნულია, რომ „სამკვიდროში არ შედის ის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს, ასევე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მოქმედებს მხოლოდ კრედიტორისა და მოვალის სიცოცხლეში და წყდება მათი სიკვდილით.“

გარდა აღნიშნულისა, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1332 მუხლი სამკვიდროდან გამორიცხავს წიგნებს, რელიგიურ ნივთებს, ოჯახურ მატთანეს, საფლავებს და ა.შ ეს ნივთები რჩება იმ პირის საკუთრებაში ვინც გარდაცვალებამდე მამკვიდრებელთან ცხოვრობდა. მამკვიდრებლის პიროვნებასთან შემხებლობაში მყოფი დოკუმენტები რჩება საერთო საკუთრებად.

რაც შეეხება სამკვიდროს გახსნას, იგი რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1319 მუხლით და სამკვიდროს გახსნის დროდ, პირის გარდაცვალების დღე ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღე ითვლება.

<sup>29</sup> რ.შენგელია, ე. შენგელია, მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2011, გვ. 12

<sup>30</sup> იქვე, გვ. 324

<sup>31</sup> ზ.ახვლედიანი, მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2007, გვ. 11

მნიშვნელოვანია სამკვიდროს ადგილის განსაზღვრაც. სამოქალაქო კოდექსის 1324-ე მუხლით: „სამკვიდროს გახსნის ადგილად ითვლება მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილი, ხოლო, თუ იგი ცნობილი არ არის, – სამკვიდროს ადგილსამყოფელი. თუ სამკვიდრო სხვადასხვა ადგილას იმყოფება, მაშინ სამკვიდროს გახსნის ადგილად მიიჩნევა უძრავი ქონების ან მისი ფასეული ნაწილის ადგილსამყოფელი, ხოლო თუ უძრავი ქონება არ არის, მაშინ – მოძრავი ქონების ან მისი ძირითადი ნაწილის ადგილსამყოფელი.“

საზღვარგარეთ საცხოვრებლად მყოფი საქართველოს მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში, სამკვიდროს გახსნის ადგილად ჩაითვლება მისი საცხოვრებელი ქვეყანა.

როგორც ვხედავთ, სამკვიდრო არის ობიექტი იმ ურთიერთობებისა, რომლებიც წარმოიშობა ერთი ქვეყნის მართლწესრიგის ფარგლებში, მაგრამ ხშირად არის ისეთი შემთხვევა როდესაც სამკვიდრო დატვირთულია უცხოური ელემენტებით და მემკვიდრეობის ურთიერთობებიც აღნიშნულ ფარგლებს სცილდება. აქედან გამომდინარე ვაწყდებით კოლიზიურ საკითხებს საერთაშორისო კერძო სამართალში, როდესაც კანონით მემკვიდრეობასთან გვაქვს საქმე. აღნიშნულ საკითხებს შემდეგ თავში განვიხილავთ.

კანონი იცნობს მემკვიდრეობის მიღების კანონისმიერ და ანდერძისმიერ გზებს.

ტერმინი კანონით მემკვიდრეობა, პირდაპირ მიგვითითებს, რომ გარდაცვლილის მემკვიდრეობა გადავა იმ პირებზე, ვინც კანონითაა განსაზღვრული. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კანონით მემკვიდრეობა წარმოიშობა მაშინ, თუ:

- ✓ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი.
- ✓ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს.
- ✓ ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი.
- ✓ მემკვიდრე გარდაიცვალა სამკვიდროს გახსნამდე ან არ მიიღო სამკვიდრო.<sup>32</sup>

რაც შეეხება კანონით მემკვიდრეთა რიგითობას, ამას განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლი:

კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან:

✓ პირველ რიგში – გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები). ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან მშვილებლის შვილებთან და მათ შთამომავლებთან. ნაშვილები აღარ მიიჩნევა კანონით მემკვიდრედ მისი მშობლებისა და აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიური ნათესავების, აგრეთვე დებისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ.

<sup>32</sup> ზ.ახვლედიანი, მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2007, გვ. 20

შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, და თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა.

შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები ვერ გახდებიან მემკვიდრეები, თუ მათმა მშობლებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე. მშვილებელი და მისი ნათესავები, როგორც ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან ნაშვილების მშობლებსა და სხვა ბიოლოგიურ ნათესავებთან. ნაშვილების მშობლებს, აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიურ ნათესავებსა და და-ძმებს აღარ ეკუთვნით კანონით მემკვიდრეობა ნაშვილების ან მისი შთამომავლების გარდაცვალების შემდეგ.

✓ მეორე რიგში – გარდაცვლილის დები და ძმები. მამკვიდრებლის დისწულები და ძმისწულები და მათი შვილები კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ იყო მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე იქნებოდა. ისინი თანასწორად იღებენ სამკვიდროს იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობლებს ერგებოდა.

✓ მესამე რიგში – ბებია და პაპა, ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან. ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და პაპა ცოცხლები აღარ არიან.

✓ მეოთხე რიგში – ბიძები (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდები და მამიდები.

✓ მეხუთე რიგში – ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო თუ ეს უკანასკნელნი არ არიან, მაშინ მათი შვილები.

როგორც ვხედავთ კანონი უპირატესობას ანიჭებს დაღმავალი ხაზის ნათესავებს და გრძელდება ნათესაობის ოთხი ხარისხის ჩათვლით. გვერდითი ხაზით მემკვიდრეობა კი სამი ხარისხით შემოიფარგლება.<sup>33</sup>

შვილები მემკვიდრედ ითვლებიან იმ შემთხვევაში, თუ მშობლები დაქორწინებულნი იყვნენ. დაუქორწინებელი მშობლებისგან დაბადებული შვილები მემკვიდრეობას მიიღებენ მხოლოდ დედის ხაზით. გარდა იმ შემთხვევისა თუ მამობა ნებაყოფლობით იქნა აღიარებული ან სასამართლოს მიერ დადგენილი.

ნაშვილები ბავშვი სარგებლობს ზუსტად ისეთივე უფლებებით როგორც ბიოლოგიური შვილები.

<sup>33</sup> რ.შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2019, გვ. 395

მეუღლე მემკვიდრეობას მიიღებს მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაში, არარეგისტრირებული ქორწინება მემკვიდრეობის უფლებას არ წარმოშობს, მიუხედავად იმის, რომ შესაძლოა რამდენიმე ათეული წელიც კი ცხოვრობდნენ ერთად და საერთო შვილიც ჰყავდეთ.

რაც შეეხება მშობლებს, დედა ყოველთვის არის შვილის მემკვიდრე, მამა კი მხოლოდ მაშინ თუ რეგისტრირებულ ქორწინებაში გაუჩნდა შვილი. მამა მემკვიდრეობის მიღების უფლებას ინარჩუნებს მაშინაც თუ განქორწინებულია და შვილი დედასთან იზრდება, რადგან განქორწინება მხოლოდ მეუღლეებთან წყვეტს სამართლებრივ ურთიერთობებს და არა შვილებთან.<sup>34</sup> მშობელი დაკარგავს მემკვიდრეობის მიღების უფლებას იმ შემთხვევაში თუ ჩამორთმეული ჰქონდა მშობლის უფლება.

აღსანიშნავია, რომ შემდეგი რიგის მემკვიდრეები მემკვიდრეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ თუ არ არსებობს წინა რიგის მემკვიდრე.

საქართველოს კანონმდებლობით მემკვიდრეობის მიღების მეორე გზაა, მემკვიდრეობა ანდერძით. ანდერძით მემკვიდრეობაც რა თქმა უნდა რეგულირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, კერძოდ 1344-ე მუხლში, აღნიშნულია, რომ „ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც“.

ანდერძი მხოლოდ მამკვიდრებლის ნებას გამოხატავს, ხშირად მეორე მხარემ - მემკვიდრემ, არც კი იცის ანდერძის შინაარსი. ანდერძისათვის საკმარისია მხოლოდ მოანდერძის ნება, სწორად ამიტომ მართებულად აღნიშნავენ პროფესორები, ზ. ახვლედიანი და რ. შენგელია, რომ ანდერძი ცალმხრივი გარიგებაა.

ანდერძი უნდა შეადგინოს სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა მოანდერძემ, რომელსაც ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება. თუ ანდერძის შედგენის შემდეგ პირი დაკარგავს ქმედუნარიანობას, ანდერძის ნამდვილობაზე ეს არ იმოქმედებს. მაგრამ თუ პირი ანდერძს შეადგენს მძიმე ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილის დროს, შესაძლოა სასამართლო წესით გადაიხედოს მისი ნამდვილობის საკითხი.

საქართველოს კანონმდებლობით დაუშვებელია ანდერძის შედგენა წარმომადგენლის მეშვეობით, ასევე დაუშვებელია ანდერძის შედგენა ერთზე მეტი პირის მიერ, თუმცა ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი და მხოლოდ მეუღლეებს აქვთ ერთობლივი ანდერძის შედგენის უფლება, ისიც მხოლოდ ურთიერთმემკვიდრეობაზე. ასეთი ანდერძის გაუქმება შესაძლებელია ორივე მეუღლის სურვილით ან ერთი მეუღლის მოთხოვნით, ორივე მეუღლის სიცოცხლეში.

---

<sup>34</sup> რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2019, გვ. 401

ანდერძი შეიძლება შეეხოს მთელ სამკვიდრო ქონებას ან მის ნაწილს. მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძში განსაზღვროს სხვადასხვა მემკვიდრეთა წილი ან კონკრეტული ქონება, რომლის დატოვებაც სურს კონკრეტული მემკვიდრისათვის. თუ ანდერძში ასეთი მითითება არ არის ქონება თანაბრად გადანაწილდება მემკვიდრეთა შორის. ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონება თანაბრად გადანაწილდება კანონით მემკვიდრეთა შორის. ხოლო თუ კანონით მემკვიდრეები არ არიან, ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონება პროპორციულად გადანაწილდება ანდერძით მემკვიდრეთა შორის.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1354-ე მუხლით, „მოანდერძეს შეუძლია ანდერძით მემკვიდრეობა ჩამოართვას ერთ, რამდენიმე ან ყველა კანონით მემკვიდრეს და იგი არ არის ვალდებული მიუთითოს ამის მოტივზე“.

მამკვიდრებელს კანონით მემკვიდრისთვის, მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა შეუძლია ორი გზით:

- ✓ ანდერძში პირდაპირ მიუთითებს, რომ მას ერთმევა მემკვიდრეობა.
- ✓ ანდერძში საერთოდ არ მოიხსენიებს ამ პირს.<sup>35</sup>

პირს, რომელსაც პირდაპირი მითითებით ჩამოერთმევა მემკვიდრეობის მიღების უფლება, ვერ გახდება იმ ქონების მესაკუთრე, რომელიც ანდერძში არ შესულა, ან რომლის მიღებაზეც უარი თქვეს სხვა მემკვიდრეებმა. ხოლო მემკვიდრეები, რომელთა შესახებაც არაფერი თქმულა ანდერძში, ინარჩუნებენ ამ ქონების მემკვიდრეობით მიღების უფლებას.

რაც შეეხება ანდერძის ფორმას, იგი შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი ცნობს, როგორც ნოტარიულად დამოწმებულ ანდერძს, ასევე მის გარეშე ე.წ შინაურულ ანდერძს.

ნოტარიუსის მიერ დადასტურებული ანდერძი თავისმხრივ იყოფა სხვადასხვა სახედ:

✓ ანდერძს ადგენს და ხელს აწერს მოანდერძე და ადასტურებს ნოტარიუსი ან სადაც ნოტარიუსი არ არის თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოს წარმომადგენელი.

✓ ანდერძს მოანდერძის კარნახით ჩაიწერს ნოტარიუსი, რომელსაც შემდგომ წაიკითხავს მონდერძე. აღნიშნული სახით ანდერძის შედგენას და ხელმოწერას უნდა დაესწროს ორი მოწმე.

ანდერძი გარდა ნოტარიუსისა და ადგილობრივი ორგანოს წარმომადგენლისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1359 მუხლის შესაბამისად, შეიძლება დაადასტუროს შემდეგმა პირებმა:

ა) საავადმყოფოს, ჰოსპიტლისა და სხვა სამკურნალო დაწესებულების, სანატორიუმის მთავარი ექიმი, უფროსი, მათი მოადგილე სამედიცინო ნაწილში, მორიგე ექიმი, მოხუცებულთა

<sup>35</sup> ზ.ახვლედიანი, მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2007, გვ. 36

და ინვალიდთა სახლის დირექტორი ან მთავარი ექიმი, თუ მოანდერძე ამ დაწესებულებაში მკურნალობს ან ცხოვრობს;

ბ) საძიებო, გეოგრაფიული და სხვა მსგავსი ექსპედიციის უფროსი, თუ მოანდერძე ასეთ ექსპედიციაში იმყოფება;

გ) გემის კაპიტანი ან საჰაერო ხომალდის მეთაური, თუ მოანდერძე გემზე ან საჰაერო ხომალდზე იმყოფება;

დ) სამხედრო ნაწილის, შენაერთის, დაწესებულებისა და სასწავლებლის მეთაური (უფროსი), თუ სამხედრო ნაწილების დისლოკაციის პუნქტში ნოტარიუსი არ არის და თუ მოანდერძე სამხედრო მოსამსახურე ან სამხედრო ნაწილში მომსახურე სამოქალაქო პირი ან მათი ოჯახის წევრია;

ე) პენიტენციური დაწესებულების დირექტორი, თუ მოანდერძე პენიტენციურ დაწესებულებაშია მოთავსებული.

სამოქალაქო კოდექსის 1362 მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც ანდერძის მოწმეები არ შეიძლება იყვნენ, ესენი არიან :

- ✓ არასრულწლოვანი,
- ✓ ანდერძით მემკვიდრე და მისი ნათესავები დამავალი ხაზით და აღმავალი ხაზით,
- ✓ და, ძმა, მეუღლე,
- ✓ საანდერძო დანაკისრის მიმღები (ლეგატარი).

რაც შეეხება ფიზიკური ნაკლის მქონე მოანდერძეს, რომელსაც არ შეუძლია თავად მოაწეროს ანდერძს ხელი, შესაძლოა მისი თხოვნით და ნოტარიუსის თანდასწრებით სხვა მოაწეროს ხელი. თუ მოანდერძე ყრუ-მუნჯია, ანდერძის შედგენას აუცილებლად უნდა დაესწროს ნოტარიუსი, ორი მოწმე და პირი რომელიც მას აუხსნის საქმის არსს. ხოლო თუ მოანდერძე ბრმაა, კანონი ითვალისწინებს სამი მოწმის დასწრების აუცილებლობას.

ანდერძში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული მისი შედგენის თარიღი, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგება მისი ბათილობის საკითხი.

კანონი იცავს ანდერძის საიდუმლოებას, პირები რომლებიც ესწრებოდნენ ანდერძის შედგენას უფლება არ აქვთ გაამხილონ ანდერძის შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით ვფიქრობთ, რომ აუცილებელია კანონმდებელმა მოახდინოს ანდერძით მემკვიდრეობის წინა პლანზე წამოწევა, რადგან მამკვიდრებლის ნება კანონის დანაწესზე უფრო მნიშვნელოვანია, ამას მოიაზრებს კანონმდებელიც, როდესაც კანონით მემკვიდრეობის საკითხს მხოლოდ ანდერძის არარსებობის შემთხვევაში აყენებს. თუმცა, რატომღაც სამოქალაქო სამართლის კოდექსი მხოლოდ კანონით

მემკვიდრეობის შემდეგ განიხილავს ანდერძით მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სამკვიდროს მიღების გზები კანონისმიერი და ანდერძისმიერი მემკვიდრეობისათვის ერთნაირია. იმისათვის, რომ პირი გახდეს მემკვიდრე მან უნდა მიიღოს მემკვიდრეობა. მემკვიდრეობის მიღება ხდება როგორც სანოტარო ბიუროში განაცხადის შეტანით, ასევე ქონების ფაქტიური ფლობით.

სამკვიდროს მიღების აქტი უნივერსალურ ხასიათს ატარებს. თუ მემკვიდრემ მიიღო სამკვიდროს გახსნის ადგილას არსებული ქონება იგულისხმება, რომ მიიღო მთლიანი მემკვიდრეობა.<sup>36</sup>

მემკვიდრეობის მიღების შემდეგ მემკვიდრე ხდება სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტი.

სამკვიდროს მიღება რაიმე პირობით არ დაიშვება, ასევე დაუშვებელია რაიმე ქონების და ნივთის გამოყოფა და მხოლოდ მისი მიღება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1424 მუხლით, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. აღნიშნული ექვსთვიანი ვადა საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში შესაძლოა გააგრძელოს სასამართლომ.

სამკვიდროს მიღების ვადის გასვლის შემდეგ სასამართლოსთვის მიმართვა არ იქნება საჭირო თუ ყველა მემკვიდრე თანახმაა თავისი წილიდან კუთვნილი ქონება გამოუყოს მემკვიდრეს.

სამკვიდროს მიღების განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს სამკვიდროს მიღების უფლების გადასვლა სხვა მემკვიდრეზე. აღნიშნული რეგულირებულია სამოქალაქო კოდექსის 1430 მუხლით, სადაც აღნიშნულია, რომ „თუ მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაგრამ სამკვიდროს მიღებამდე გარდაიცვალა, მაშინ სამკვიდროდან მისი წილის მიღების უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე (მემკვიდრეობითი ტრანსმისია).“ თუმცა აქ დასაცავია შემდეგი პირობა, გარდაცვლილი მემკვიდრის მემკვიდრეებმა სამკვიდრო უნდა მიიღონ სამკვიდროს მიღების ვადამდე დარჩენილი ხნის განმავლობაში. ვადა შესაძლოა გაგრძელდეს იმ შემთხვევაში თუ ეს დრო სამ თვეზე ნაკლებია.

მემკვიდრეს უფლება აქვს მიიღოს მემკვიდრეობა ან უარი თქვას მის მიღებაზე. მემკვიდრეობის მიღებაზე უარის თქმა არის ერთჯერადი აქტი, რომელიც უნდა განახორციელოს მემკვიდრემ სანოტარო ბიუროში, სამი თვის განმავლობაში იმ დროიდან როდესაც შეიტყო ან უნდა შეეტყო სამკვიდროს არსებობის შესახებ.

---

<sup>36</sup> რ.შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2019, გვ. 409

დაუშვებელია სამკვიდროს მიღება ან არ მიღება ნაწილობრივ. მემკვიდრეს უფლება აქვს მთლიანად მიიღოს ან უარი თქვას სამკვიდროზე. თუმცა ნაწილობრივ მიუღებლობის აკრძალვიდან არსებობს გამონაკლისი თუ ეს მემკვიდრის მიერ სამკვიდროს გამოყენების მიზანშეწონილობასთან არის დაკავშირებული, მაგალითად მემკვიდრე რომელიც ვერ ერკვევა მუსიკაში შეუძლია უარი თქვას, მუსიკალური ნივთების, ინსტრუმენტების, ნოტების მიღებაზე. ასევე გამონაკლისია და არ ჩათვლება მემკვიდრეობაზე ნაწილობრივ უარის თქმად, თუ მემკვიდრე ერთდროულად ანდერძისმიერი და კანონისმიერია და ის მხოლოდ იმ ნივთებს აირჩევს რაც კანონისმიერი მემკვიდრეობით ერგება.

კანონი ასევე შესაძლებელს ხდის მემკვიდრეობაზე უარის თქმას სხვა პირთა სასარგებლოდ, თუმცა აქვე განსაზღვრავს, რომ ამ წილის მიმღები არ შეიძლება იყოს უღირსი მემკვიდრე ან პირი რომელსაც ანდერძით ჩამოერთვა მემკვიდრეობა. იმ შემთხვევაში კი, თუ მემკვიდრე უარის თქმისას არ განსაზღვრავს თუ ვის სასარგებლოდ თქვა უარი, მისი წილი გადაუნაწილდებათ სხვა კანონით მემკვიდრეებს.

თუ პირველი რიგის მემკვიდრე ერთია, მის მიერ მემკვიდრეობის მიღებაზე უარის თქმისას, ქონება გადაუნაწილდებათ მეორე რიგის მემკვიდრეებს.

კანონი შვილიშვილთან დაკავშირებულ მემკვიდრეობის საკითხებზე აღნიშნავს, რომ სამკვიდროზე უარის თქმა შვილიშვილის სასარგებლოდ დასაშვებია, თუ სამკვიდროს გახსნის დღისათვის ცოცხალი აღარ არის მისი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, ან თუ შვილიშვილი ანდერძით მემკვიდრეა.<sup>37</sup>

როგორც ვხედავთ როგორც კანონისმიერ ისე ანდერძისმიერ მემკვიდრეებს უფლება აქვთ უარი თქვან სამკვიდროს მიღებაზე თუმცა სანოტარო ბიუროში სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადების შეტანის შემდეგ უარის თქმა არ დაიშვება.

ერთადერთი სუბიექტი, რომელსაც მემკვიდრეობის მიღებაზე უარის თქმა არ შეუძლია სახელმწიფოა.

---

<sup>37</sup> საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თბ. 1997, მუხლი 1443



## თავი III. კოლიზიური საკითხები საერთაშორისო კერძო სამართალში კანონით მემკვიდრეობის დროს

მემკვიდრეობით სამართლებრივი ურთიერთობები სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში განსხვავებული სპეციფიკით ხასიათდება. ამ მხრივ მნიშვნელოვნად ერთმანეთისგან განსხვავდება რომანულ-გერმანული და ანგლოსაქსონური მემკვიდრეობითი სამართალი. აღნიშნული გამოიხატება იმით, რომ განსხვავებულია კანონით და ანდერძით მემკვიდრეთა წრე, არსებობს სამკვიდროს განაწილების სხვადასხვა სისტემა, დადგენილია ანდერძის ფორმის სხვადასხვა მოთხოვნები და სხვა. სწორედ აღნიშნულით აიხსნება პრაქტიკის მრავალფეროვნება და სირთულეები მემკვიდრეობის კონკრეტული საქმეების გადაწყვეტისას.

აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია არსებობდეს ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომელიც განსაზღვრავდა მემკვიდრეთა ჩამონათვალს, დაადგენდა მათი მემკვიდრედ მოწვევის რიგითობას, ვის აქვს ჩამორთმეული მემკვიდრეობის უფლება და სხვა.

ამგვარი საკითხების გადაწყვეტისას, როგორც დევი ხვედელიანის შრომაში „კანონით მემკვიდრეობის კოლიზიური საკითხები საერთაშორისო კერძო სამართალში“ ვკითხულობთ, წარმოიშობა სამართლის ნორმების გამოყენების პრობლემა. ამ პრობლემის გადასაწყვეტად კი შემოთავაზებულია ორი პრინციპი: სამკვიდრო მასის ერთიანობის პრინციპი, რომელიც კონტინენტური ევროპის კოლიზიური სამართლის პრინციპია და კოლიზიური საბამის გახლეჩის პრინციპი, რომელიც განსაკუთრებით ანგლო-ამერიკული სამართლისთვისაა დამახიათებელი.<sup>38</sup>

სამკვიდრო მასის ერთიანობის პრინციპი გულისხმობს, ერთი მართლწესრიგის მიხედვით მთელი სამკვიდროს გადასვლას მემკვიდრეებზე, ეს პრინციპი ეფუძნება უნივერსალურ სამართალმემკვიდრეობის კონცეფციას, რომელიც რომის სამართლიდან მოდის. სხვაგვარად რომ ვთქვათ სამკვიდრო ერთიანად გადადის მემკვიდრეზე ან თანამემკვიდრეებზე, ანუ ისინი ქონებას ერთიანად იღებენ და არა ცალკეული აქტებით სხვადასხვა ნივთზე.

<sup>38</sup> დასახელებული შრომა მოძიებულია პროფესორ ზურაბ ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებულიდან, თბ., 2004, გვ. 197-198

აღნიშნული პრინციპი გერმანელი იურისტის ფრიდრიხ სავინის წყალობაა, მისი გავლენით იქნა მიღებული გერმანულ სამართლაში ეს პრინციპი და მრავალი სამართლებრივი სისტემა, ისეთებიც რომლებმაც ფრანგულ კოდექსს მიბაძეს, აღიარებს სამკვიდრო ქონების ერთიანობას. მაგ: იტალიის, პორტუგალიის, ესპანეთისა და ნიდერლანდების სამართლებრივი სისტემა.<sup>39</sup>

კოლიზიური საბამის გახლეჩის პრინციპი გულისხმობს მოძრავი და უძრავი ქონების მიხედვით მემკვიდრეობის რეგულირებას განსხვავებული წესით, უძრავი ქონების საბამი არის ნივთის ადგილსამყოფელის კანონი (*Lex rei sitae*), ხოლო მოძრავისა მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილის კანონი (*Lex domicili*).<sup>40</sup>

როგორც წესი, საკუთრების უფლების საგანი უძრავია თუ მოძრავი, ამ საკითხის გადაწყვეტა არ წარმოადგენს პრობლემას, თუმცა საკითხი რთულდება, როდესაც უფლება ნივთზე, რომელიც ფიზიკურად მოძრავია, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მიერ განიხილება როგორც უძრავი. შესაბამისად ჩნდება კითხვა, რომელი სამართალი უნდა იყოს გამოყენებული, როდესაც ერთი სამართლის სისტემა ქონებას მოიაზრებს როგორც უძრავი, ხოლო მეორე როგორც მოძრავს. „ინგლისის სამართალი და მრავალი სხვა სამართლებრივი სისტემა თვლის, რომ ეს სამართალი უნდა იყოს ქონების ადგილსამყოფელის სამართალი (*Lex situs*)“.<sup>41</sup>

ქართული სამართალი ქონების ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარეობს, იგი სამკვიდრო ქონების გადასვლისას მემკვიდრეებზე, გარდაცვლილის ნაციონალური სამართლით ხელმძღვანელობს.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს 1998 წლის კანონის 55-ე მუხლში ვკითხულობთ: „მემკვიდრეობითი ურთიერთობები წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც მამკვიდრებელი გარდაცვალებისას განეკუთვნებოდა. მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მას ჰქონდა უკანასკნელი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს სამართალი.“<sup>42</sup>

„აღნიშნული მუხლის შინაარსი ცხადჰყოფს, რომ მემკვიდრეობის ურთიერთობების მოწესრიგებისას ჩვენი საერთაშორისო კერძო სამართლისათვის ამოსავალი კოლიზიური პრინციპი არის მამკვიდრებლის მოქალაქეობა.“<sup>43</sup>

<sup>39</sup> დ. ხვედელიანი, პროფესორ ზურაბ ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებულიდან, თბ., 2004, გვ. 198

<sup>40</sup> იქვე, გვ. 198

<sup>41</sup> იქვე, გვ. 199

<sup>42</sup> [https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4&fbclid=IwAR1cUBdUI4xCh8OwWVyt2Beaymq\\_1dodgRyKuWmal4M2HNIjURmVWTSbM0](https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=4&fbclid=IwAR1cUBdUI4xCh8OwWVyt2Beaymq_1dodgRyKuWmal4M2HNIjURmVWTSbM0) უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 26.05.2021

საქართველოს მსგავსად, არაერთი ქვეყანა და მათ შორის გერმანია მემკვიდრეობის სამართალურთიერთობებს იმ ქვეყნის სამართალს უქვემდებარებს, რომელსაც მამკვიდრებელი განეკუთვნებოდა გარდაცვალებისას.

ზემოთ განხილულ, სამკვიდრო ქონების განაწილების ორივე სისტემას გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. სამკვიდროს ერთიანობის უპირატესობა მის სიმარტივეში მდგომარეობს, სამკვიდრო ქონება ერთიანია და ერთიანად გადადის მემკვიდრეებზე თვითი წილის პროპორციულად და მთელი სამკვიდრო ქონების მასიდან ხორციელდება ვალდებულებების დაფარვა. მიუხედავად მისი სიმარტივისა, მას გააჩნია დიდი ნაკლოვანებაც, მაგლითად საქართველოში დადგენილი სამართალმემკვიდრეობის ნორმები გამოყენებული უნდა იქნეს მთელი სამკვიდრო ქონების მიმართ, მათ შორის მიწაზეც, რომელიც შეიძლება მდებარეობდეს პირობითად ქვეყანა X-ში, და თუ სამართალმემკვიდრეობის წესი ქვეყანა X-ში განსხვავებულია, მაშინ ის უფლებები მიწაზე, რომლებიც შეძელია ჩვენი კანონმდებლობით, ნომინალურია. ვინაიდან საქართველოს სასამართლოებს არ გააჩნიათ არავითარი ძალაუფლება, რათა განახორციელონ ასეთი ურთიერთობა.

სამკვიდროს ერთიანობის პრინციპის სიმარტივეს მიუხედავად, გვერდს ვერ ავუვლით სამკვიდროს გახლეჩის სისტემას, მიუხედავად მისი სირთულისა, იგი დღეს ფართოდ გამოიყენება და გერმანიის სამოქალაქო სჯულისდებაც კი რომელიც სამკვიდრო ქონების ერთიანობის პრინციპს აღიარებს, აღნიშნული კუთხით დათმობაზე წავიდა და სჯულისდების შესავალი კანონის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილი ზღუდავს ამავე კანონის მესამე და მეოთხე ნაწილების მოქმედებას იმ ქონების მიმართ, რომელიც არის იმ სახელმწიფოს გარეთ, რომლის მოქალაქეც იყო პირი, თუ ქონების ადგილსამყოფელის კოლიზიური ნორმის გათვალისწინებით გამოყენებულ უნდა იქნეს ამ ქონების ადგილსამყოფელის სამართალი.<sup>44</sup>

როგორც აღვნიშნეთ, ქართული კოლიზიური სამართალი გამოდის სამკვიდრო მასის ერთიანობის პრინციპიდან, მისთვის უცხოა სამკვიდრო მასის გახლეჩის პრინციპი, ამიტომ, როდესაც სამკვიდრო დატვირთულია უცხო ელემენტებით და საკითხი დგება სხვა ქვეყნის მართლწესრიგის გამოყენებისა, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავს უძრავ და მოძრავ სამკვიდრო ქონებას, აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიო კოლიზიური ნორმით გათვალისწინებული მითითების კვალიფიკაციის რეგულირების ხარვეზები.

სამართლიანად აღინიშნა გერმანელი მეცნიერების კუნცის და იემის მიერ, რომ უმჯობესია სამართალზე მითითება იქნეს ისეთად, როგორსაც მას ითვალისწინებს უცხოური კოლიზიური

---

<sup>44</sup> დ. ხვედელიანი, პროფესორ ზურაბ ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებულიდან, თბ., 2004, გვ. 202

ნორმა, ვიდრე ძალდატანებით შემოღებული იყოს კვალიფიკაციის კრიტერიუმები, რომლებიც, საბოლოოდ, უცხო დარჩება საკუთარი სამართლებრივი სისტემისთვის.<sup>45</sup>

აქედან გამომდინარე, საწორად მიმაჩნია დევი ხვედელიანის მოსაზრება რომ საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს 1998 წლის კანონის 55-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

„ მუხლი 55. მემკვიდრეობითი ურთიერთობები

1. მემკვიდრეობითი ურთიერთობები წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც მამკვიდრებელი გარდაცვალებისას განეკუთვნებოდა. მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მას ჰქონდა უკანასკნელი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს სამართალი.

2. აღნიშნული წესი არ ვრცელდება ნივთებზე, რომლებიც იმყოფება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე და ექვემდებარება ქონების ადგილსამყოფელის სამართლით მოწესრიგებას.

აღნიშნულ საკითხზე ნაწილობრივ უკან დახევა სახელმძღვანელო პრინციპისაგან იმდენად მოხერხებული იქნება, რამდენადაც გამართლებული პრაქტიკული თვალსაზრისით.”<sup>46</sup>

ძალიან საინტერესოა სახელმწიფოების ადგილი მემკვიდრეობის სამართალში. როდესაც მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი და არც კანონით მემკვიდრეები არ არიან სახეზე, ყველა სამართლებრივი სისტემის საერთო წესის თანახმად, მამკვიდრებლის ქონება რჩება სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს სტატუსის განსაზღვრა ცალკე საკითხს წარმოადგენს, იგი ქონებას იღებს როგორც მემკვიდრე თუ კანონის ძალით ხდება მესაკუთრე?!

ორივე შემთხვევაში ვთლი, რომ სამართლიანი იქნება თუ სახელმწიფოს მივანიჭებთ მემკვიდრის სტატუსს, ვინაიდან, უხეშად რომ ვთქვათ, მემკვიდრე არის ის, ვისაც რჩება სამკვიდრო ქონება, ანდერძით იქნება ეს თუ კანონის ძალით, ამიტომ, როდესაც მამკვიდრებელს არ გააჩნია არავინ, არც ანდერძს ტოვებს ან და არცერთი მემკვიდრე არ იღებს მემკვიდრეობას, საბოლოო ჯამში სახელმწიფო ეპატრონება მის ქონებას, ამიტომ იგი ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს კანონით მემკვიდრედ.

ეს საკითხი არც ისე მარტივია, როდესაც სამკვიდრო დატვირთულია უცხოური ელემენტებით. ამ შემთხვევაში იზადება კითხვა, რომელ სახელმწიფოს უნდა დარჩეს ქონება?

<sup>45</sup> იქვე, გვ. 206

<sup>46</sup> დ. ხვედელიანი, პროფესორ ზურაბ ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებულიდან, თბ., 2004, გვ. 203

რომლის მოქალაქეც იყო გარდაცვლილი, ქვეყანას რომელშიც ცხოვრობდა თუ იმას სადაც ქონების ადგილსამყოფელია?! აღნიშნულთნ დაკავშირებით, სხვადასხვა მიდგომა და პრინციპები არსებობს სხვადასხვა ქვეყნებში, მაგალითად საფრანგეთში საჯარო წესრიგის პრინციპის საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქის ქონება გადადის საფრანგეთის სახელმწიფოზე, რაც მიზნად ისახავს ხელის შეშლას უცხო სახელმწიფოსთვის იმ ქონების მიღებაში რაც საფრანგეთის ტერიტორიაზეა.

ავსტრიასა და აშშ-ში ქონება გადადის სახელმწიფო საკუთრებაში არა მემკვიდრეობის წესით, არამედ „ოკუპაციის“ უფლებით. გერმანიის, იტალიის, ესპანეთის და შვეიცარიის სამართლებრივი სისტემით ხაზინა იძენს ქონებას, როგორც მემკვიდრე. ალჟირის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით კი კანონის ძალით სახელმწიფოს ეკუთვნის უმკვიდრო ქონება, რაც შეეხება ინგლისს იგი იყენებს სამკვიდროს სტატუსის კატეგორიას, თუმცა მისი საერთო კონცეფცია ოკუპაციის თეორიას ეფუძნება.<sup>47</sup>

როგორც ცნობილია, ქონების გადასვლა მემკვიდრეობის წესით წარმოშობს უფლებამონაცვლეობას, რაც იმაში გამოიხატება, რომ სამკვიდრო მოიცავს როგორც აქტივებს ისე პასივს და შესაბამისად მემკვიდრე პასუხისმგებელია მამკვიდრებლის ვალდებულებებზეც, თუმცა სხვაგვარადაა საქმე ოკუპაციის წესის დროს, რომელიც ქონებას ათავისუფლებს ყოველგვარი ვალდებულებისგან.

ქართულ რეალობაშიც, კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე, სახელმწიფო გვევლინება როგორც კანონით მემკვიდრე, მიუხედავად ამისა იგი არ არის მოხსენიებული კანონით მემკვიდრეთა არცთ რიგში, ასევე იგი ვერ სარგებლობს მემკვიდრეობის არ მიღების უფლებით და პასუხსაც აგებს სამკვიდრო მასის ფარგლებში მამკვიდრებლის ვალდებულებებზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოზეც ერთიანად გადადის სამკვიდრო მასა და იგი პრეტენზიას აცხადებს როგორც ქვეყანაში, ასევე მის გარეთ არსებულ ქონებაზე, რაც წარმოშობს ზემოთ ხსენებულ პრობლემას ამ უფლების განხორციელების ბერკეტის არ არსებობით, როდესაც სხვა სახელმწიფო არ იზიარებს მსგავს შეხედულებას.

აქედან გამომდინარე, ამ საკითხთან დაკავშირებით ვფიქრობ, რომ ყველა სახელმწიფო, აღიარებენ თუ არა ისინი ამას, როდესაც გარდაცვლილის ქონებას ეპატრონებიან, საბოლოო ჯამში წარმოადგენენ მემკვიდრეს. ამიტომ მიმაჩნია, რომ უცხო სახელმწიფოები და მათ შორის საქართველოც უნდა სარგებლობდეს მემკვიდრის სტატუსით, სამკვიდროს უნდა იღებდეს

<sup>47</sup> დ. ხვედელიანი, პროფესორ ზურაბ ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებულიდან, თბ., 2004, გვ. 207

ოკუპაციის წესის მსგავსად, თავის ტერიტორიაზე არსებული სამკვიდროს სახით და ამავე დროს პასუხისმგებლობასაც უნდა იღებდეს მიღებული სამკვიდრო მასის ფარგლებში კრედიტორების დაკმაყოფილებაზეც.

## თავი IV. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ხარვეზები მემკვიდრეობის სამართალში

### 4.1 კანონისმიერი მემკვიდრეობის რიგების სრულყოფის საკითხები

მემკვიდრეობის სამართლის ერთერთი მთავარი პრინციპი მემკვიდრეობის თავისუფალ ნებაში ვლინდება, რაც აძლევს მას გარანტიას და შესაძლებლობას იცხოვროვს და იშრომოს იმ შეგნებით, რომ თავის მიერ დაგროვებული მატერიალური თუ სულიერი სიკეთე, თავისივე ნების საფუძველზე დარჩება თავისთვის ძვირფას და ახლობელ ადამიანებს.

მემკვიდრეობის თავისუფალი ნება-სურვილის გამომხატველია მის მიერვე შედგენილი ანდერძი. „ნების თავისუფალი გამოხატვის ფართო შესაძლებლობების გამო ლიტერატურაში ანდერძს მემკვიდრეობის იმპერატიულ განკარგულებადაც მიიჩნევენ.“<sup>48</sup> მაგრამ საკითხი რთულდება მაშინ, როდესაც მემკვიდრეობას არ დაუტოვებია ანდერძი და კანონმა უნდა განსაზღვროს მემკვიდრეთა წრე. დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული კანონით იმის განსაზღვრა, თუ ვისთვის ისურვებდა მემკვიდრეობელი, რომ თავის ქონება გაენაწილებინა, ვინაიდან მას ანდერძი აძლევს საშუალებას, ოჯახის წევრებისა და ახლობლებისგან საერთოდ უცხო პირისთვის, ქონების გადაცემის შესაძლებლობას. ამიტომ ერთის მხრივ შეიძლება ანდერძმა დაჩაგროს მემკვიდრეობის ახლობელი ადამიანები და მეორეს მხრივ კანონმა სწორად ვერ განსაზღვროს მემკვიდრეთა წრე და წინა რიგში დააყენოს ისეთი პირი, რომელიც საერთოდ არც იჩენდა ყურადღებას მემკვიდრეობის მიმართ და მისი გარდაცვალების შემდეგ გამოჩნდა, და შემდეგ რიგში გადაისროლოს ის პირი, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა მემკვიდრეობელთან და შესაძლოა სრულიად უსასყიდლოდაც უვლიდა და პატრონობდა მას. ამიტომ სავსებით ვიზიარებ მოსაზრებას, რომ „ყოველ შემთხვევაში მემკვიდრეობის ორივე სახე, ცალ-ცალკე აღებული, სრულყოფილად ვერ გამოხატავს მემკვიდრეობის შინაარსს. ისინი ერთმანეთს ავსებენ და ურთიერთგანპირობებულნიც არიან.“<sup>49</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონით მემკვიდრეობის დროს მემკვიდრეთა წრეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლი განსაზღვრავს, რომელიც ვფიქრობ ბევრ

<sup>48</sup> რ.შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2019, გვ. 341

<sup>49</sup> იქვე, გვ. 393

ხარვეზს შეიცავს მამკვიდრებლის ნების თავისუფლებიდან და ზნეობრივი ნორმებიდან გამომდინარე.

აღნიშნული მუხლით პირველ რიგში - გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე და მშობლები (მშვილებლები) არიან, ასეთი მიდგომა კანონისა ზნეობიდან გამომდინარეობს, ანუ კანონი ვარაუდობს, რომ მამკვიდრებლის ნება ასეთი იქნებოდა, ვინაიდან ოჯახის წევრზე ძვირფასი არ შეიძლება ადამიანს ვინმე გააჩნდეს, რადგან ოჯახური ურთიერთობის უმაღლესი ფორმა სიყვარულია და მის გარეშე წარმოუდგენელია მყარი და სრულყოფილი ოჯახის შექმნა.

გამომდინარე აქედან, კანონმდებელი მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ ზუსტად და სწორად განსაზღვროს კანონით მემკვიდრეთა რიგითობა და დაიცვას მათი უფლება მემკვიდრეობაზე.

მოქმედი კანონმდებლობის ხარვეზი გამოიხატება შემდეგში, რომ პირი ვერ გახდება მემკვიდრე მიუხედავად იმას რომ მამკვიდრებელთნ წლებია ცხოვრობს, ნებაყოფლობით კავშირშია მასთან, ოჯახურ საქმიანობას ეწევიან ერთად, თუმცა მათი ქორწინება არ არის რეგისტრირებული ოფიციალურად. ამის საფუძველს კი სსკ-ის 1151 მუხლი განაპირობებს „მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება.“<sup>50</sup>

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა 78 წლის ქალბატონის, ციალა პერტიას ისტორია, რომელიც ახლა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინშია. ციალა პერტია ცხოვრობს ქალაქ ბათუმში, ბინაში, რომლითაც ის უწყვეტად სარგებლობს 1985 წლიდან, ეს ფართი კი საკუთრების უფლებით ირიცხებოდა აწ გარდაცვლილ გიორგი ზამბახიძეზე, რომელთანაც 1985 წლიდან ციალა პერტია იმყოფებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში. გიორგი ზამბახიძე გარდაიცვალა 2014 წლის 21 მარტს და ციალა პერტიამ მემკვიდრეობით ვერ მიიღო მეუღლის სამკვიდრო ქონება, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლის მიხედვით „მეუღლეთა უფლება-მოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება“. აღნიშნულის გამო, ციალა პერტიას მეუღლის ქონება მემკვიდრეობით მიიღეს გიორგი ზამბახიძის ძმამ მიხეილ ზამბახიძემ და დამ თამარა ზამბახიძემ. შემდეგ კი ეს ქონება მათ გაასხვისეს ახლო ნათესავზე, მამკვიდრებლის მეორე დის შვილზე, თამაზ თევზაძეზე. ბათუმის საქალაქო სასამართლომ კი მიიღო გადაწყვეტილება მარტოხელა, მოხუცებული ქალის გამოსახლების შესახებ გარდაცვლილი ქმრის ბინიდან. აღნიშნული სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ

<sup>50</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=113> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 22.05.29

მხარეები არ დაობენ იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე ციალა პერტია და გიორგი ზამზახიძე ცხოვრობდნენ ერთად 1985 წლიდან 2014 წლის 23 მარტამდე. ნათესავები, მათ შორის მოპასუხეები, ციალა პერტიასა და გიორგი ზამზახიძეს მიიჩნევდნენ ერთ ოჯახის წევრებად - ცოლ-ქმრად, ისინი ერთობლივად წყვეტდნენ საოჯახო საქმეებს და როგორც ოჯახის წევრები ზრუნავდნენ ერთმანეთზე<sup>51</sup> ამავეს მოწმობენ ქალბატონის მეზობლები. მიუხედავად ყველაფრის ქალბატონმა ციალამ ვერ შეძლო მემკვიდრეობის მიღება და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად გამოსახლების მოლოდინშიცაა. როგორც იგი აცხადებს „ ბინიდან მის გამოსახლებას ვერ შეძლებენ, ვიდრე სასამართლოს ყველა ინსტანციაში საქმის განხილვა არ დასრულდება, მაგრამ მას გამოსახლებით ხშირად ემუქრებიან.”<sup>52</sup>

აღნიშნულ დავაზე უზენაეს სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, როგორც ადვოკატი დავით დიდმანიძე აცხადებს „უზენაესი ახლა რეალურად ელოდება საკონსტიტუციოს გადაწყვეტილებას, ამიტომ გაჭიანურდა პროცესი”<sup>53</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლის 28 მაისს მიიღო სარჩელი არსებითდ განსახილველად „მიღებულ იქნეს არსებითად განსახილველად №1351 კონსტიტუციური სარჩელი („ციალა პერტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.”<sup>54</sup>

მსგავს შემთხვევებზე, სასამართლო პრაქტიკას რაც შეეხება, როგორც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია განმარტავს სარჩელი არ დააკმაყოფილა არც ერთი ინსტანციის სასამართლომ. 2016 წელს იმსჯელა უზენაესმა სასამართლომ ქორწინების სამოქალაქო რეგისტრაციის გარეშე მემკვიდრეობის უფლების მიღებაზე და მოიხმო 1994 წლის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „კორინი ნიდერლანდების წინააღმდეგ“ სადაც აღნიშნულია, რომ ქორწინება გასცდა ფორმალურ ურთიერთობებს, ასევე ის, რომ დე-ფაქტო ოჯახური კავშირები იზოლირებულად არ უნდა განვიხილოთ. მიუხედავად ამისა, ქართულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პრეცედენტი სამართლებრივად ვარგისი არ არის, ვინაიდან ქორწინების რეგისტრაციის გარეშე მემკვიდრეობის წარმოშობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გამორიცხავს და ამ ნორმის სხვაგვარად განმარტება ეწინააღმდეგება თავად მუხლის ნორმატიულ შინაარსს.<sup>55</sup>

<sup>51</sup> <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1407> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -22.05.29

<sup>52</sup> <https://batumelebi.netgazeti.ge/news/287251/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -22.05.29

<sup>53</sup> <https://batumelebi.netgazeti.ge/news/287251/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -22.05.29

<sup>54</sup> <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1799> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -22.05.29

<sup>55</sup> <https://batumelebi.netgazeti.ge/news/95250/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -22.05.29



ყოველივე აქედან გამომდინარე ნათელია, რომ კანონით მემკვიდრეთა რიგები სრულყოფილად ვერ გამოხატავენ მამკვიდრებლის „სავარაუდო“ ნება-სურვილს და ვერც მისი ოჯახის წევრების ინტერესებს იცავენ, არადა სავალდებულო წილის არსებობა კანონმდებლობაში ამითაა გამართებული, რომ იგი წარმოადგენს ანდერძის თავისუფლების პრინციპის ერთგვარ შეზღუდვას ოჯახის წევრთა ინტერესების უზრუნველსაყოფად.

ანდერძის თავისუფლების ასეთი შეზღუდვა დღემდე მემკვიდრეობის სამართლის პროგრესულ ნიშნად ითვლება.<sup>56</sup> მიუხედავად ამისა, ზემოთ განხილულ მაგალითში, ნათლად დავინახეთ, რომ შესაძლოა კანონმა მაინც დაჩაგროს და მძიმე პირობებში ჩააყენოს ის პირი, რომელიც მამკვიდრებლითვის ყველაზე ძვირფასს - მეუღლეს წარმოადგენს და ერთადერთ ოჯახის წევრს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლის ანალიზი, რომელიც მაქსიმალურადაა მიმართული მამკვიდრებლისა და მემკვიდრეების ინტერესების დაცვისკენ, კერძოდ 1341-ე მუხლით „სასამართლოს გადაწყვეტილებით მეუღლეს შეიძლება ჩამოერთვას კანონით მემკვიდრეობის უფლება, თუ დადასტურებული იქნება, რომ ქორწინება მამკვიდრებელთან ფაქტობრივად სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ სამი წლისა შეწყვეტილი იყო და მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ.“<sup>57</sup>

ეს ნორმა იმ შემთხვევას ეხება, როდესაც მეუღლეები ოფიციალურად არ იყვნენ განქორწინებულები, თუმცა სასამართლო უფლებამოსილია ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს ჩამოართვას კანონით მემკვიდრეობის უფლება, თუკი სამკვიდროს გახსნამდე არანაკლებ სამი წლისა ქორწინება ფაქტობრივად შეწყვეტილი იყო და მეუღლეები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. ანდერძით მემკვიდრეობისას კი, სამკვიდროს გახსნამდე ქორწინების შეწყვეტას ფაქტობრივად და მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრებას მნიშვნელობა არ აქვს და არ გამოორიცხავს ანდერძისმიერ მემკვიდრედ ყოფნის უფლებას.<sup>58</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ განქორწინების ოფიციალურად დაურეგისტრირებლობის მიუხედავად, მემკვიდრეობის კანონი ტოვებს მეუღლეთა უფლებამოსილების შეზღუდვის შესაძლებლობას გარკვეული პირობების არსებობისას, თუმცა არაფერს ამბობს საპირისპიროს შემთხვევაში არარეგისტრირებულ ქორწინებაზე, რაც ხარვეზად შეიძლება ჩაითვალოს.

<sup>56</sup> რ.შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2019, გვ. 363

<sup>57</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=113> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.06.2021

<sup>58</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბ. 2000, გვ. 398

ყოველივე ეს კი გაგებული არ უნდა იქნეს, როგორც არარეგისტრირებული ქორწინებების წახალისება, რაც თავის მხრივ არაერთ პრობლემას წარმოშობს, არამედ სსკ-ის 1336 -ე მუხლის პირველი რიგის მემკვიდრეებს უნდა დაემატოს პირი რომელიც მამკვიდრებელთან ცხოვრობდა როგორც მეუღლე, იმყოფებოდა მასთან ნებაყოფლობით კავშირში, ერთად ეწეოდნენ ოჯახურ ცხოვრებას და არ დაურეგისტრირებიათ მათ ეს როგორც ქორწინება. ყოველივე ეს კი უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი გარემოებებით და აშკარა უნდა იყოს ოჯახური თანაცხოვრების ფაქტი. ასევე აქ შესაძლებელია კონკრეტული წელის გასაზღვრა, მსგავსად 1341-ე მუხლისა.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არ არსებობდა ქორწინების რეგისტრაცია, „ძველი ქართული სამართლის მიხედვით ცოლ-ქმარი ერთმანეთის მემკვიდრეებად ითვლებოდნენ. სამკვიდროს მიღების საკითხი კი სხვადასხვაგვარად წყდებოდა ცალკეული ეპოქებისა და საკანონმდებლო ძეგლების მიხედვით. ვახტანგ მე VI-ის სამართლის მიხედვით, ცოლის გარდაცვალებისას ქმარი მზითვის სრული მემკვიდრე იყო, თუ დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდნენ ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში, მზითვის მესამედზე ვრცელდებოდა მისი უფლება.“<sup>59</sup> როგორც ვხედავთ მეუღლეების უფლება სამკვიდროზე, დამოკიდებული იყო არაერთ პირობაზე, დიდხანს ერთად ცხოვრების ფაქტზე, შვილის ყოლაზე და ა.შ.

არაერთი ავტორის თანახმად კი, ქორწინება დამოკიდებულია არა რეგისტრაციის ფორმალურ არსებობაზე, ან არარსებობაზე, არამედ მამაკაცსა და ქალს შორის არსებულ ურთიერთობათა არსზე. ამის მიხედვით „არარეგისტრირებული ქორწინებაც ქორწინებაა და არა თანაცხოვრება“.<sup>60</sup> აღნიშნულს სრულად ნამდვილად ვერ გავიზიარებ, ვინაიდან რიგი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, ვფიქრობ აუცილებელია ქორწინება იყოს ოფიციალურად რეგისტრირებული, თუმცა „არარეგისტრირებულ ქორწინებაში“ მყოფი პირების უფლება მემკვიდრეობაზე უნდა იქნეს კანონმდებლობით გათვალისწინებული და დაცული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ანალიზისას, როგორც არაერთხელ აღინიშნა, გარდა აღნიშნული ხუთი რიგის მემკვიდრეებისა, კანონი ასევე ცნობს სახელმწიფოს მემკვიდრის როლში, რადგან სსკ-ის 1343 -ე მუხლში აღნიშნულია, რომ: „თუ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე. ხოლო სსკ-ის 1444-ე მუხლის თანახმად „სახელმწიფოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რომელიც მასზე გადავიდა“ და ასევე „უმკვიდრო ქონების სახელმწიფოზე გადასვლისას სახელმწიფო პასუხს აგებს უმკვიდრო ქონების შესაბამისი

<sup>59</sup> რ.შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2019, გვ. 400

<sup>60</sup> А.А. Пушкин, Действующее законода тельство о браке и семье , Харьков., 1992 с 141

ნაწილით მამკვიდრებლის ვალებზე ისე, როგორც მემკვიდრე.”<sup>61</sup> აქედან გამომდინარე „სახელმწიფო შეიძლება ჩითვალოს კანონით მემკვიდრეთა მეექვსე რიგის მემკვიდრედ”<sup>62</sup>

თუკი ვამბობთ, რომ სახელმწიფო არის კანონით მემკვიდრე და მოხდება მისი გათვალისწინება მეექვსე რიგში, ასევე სახელმწიფოს თუ არ ექნება მემკვიდრეობის მიღებაზე უარის თქმის შესაძლებლობა, გამოდის, რომ სანამ სახელმწიფო იარსებებს აღარ გვექნება სახეზე უმკვიდრო ქონება, ამიტომ დღის წესრიგში დგება საკითხი, სამოქალაქო კოდექსის, 1343-ე მუხლის- „უმკვიდრო ქონების გადასვლა სახელმწიფოზე”, გადახედვისა :

„1. თუ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე; ხოლო თუ მამკვიდრებელი მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებათა რჩენაზე იმყოფებოდა, მაშინ – მათ საკუთრებაში.

2. უმკვიდრო ქონება სამეწარმეო საზოგადოებაში ან კოოპერატივში წილის, აქციის ან პაის სახით გადადის მათ ხელში, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.”<sup>63</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სარჩოს მიმცემი დაწესებულებებიც და სამეწარმეო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები არ არიან ვალდებული მამკვიდრებლის ვალების გასტუმრებაზე.<sup>64</sup>

აქედან გამომდინარე ჩნდება კითხვა, თუ სახელმწიფოს ვანიჭებთ კანონით მემკვიდრის სტატუსს, რაც თავის მხრივ გამორიცხავს უმკვიდრო ქონების არსებობას, რა ბედი უნდა ეწიოს აღნიშნულ მუხლში არსებულ ჩანაწერებს. როგორც ვიცით მოხუცთა, ინვალიდთა, სამკურნალო, აღმზრდელობით და სოციალური დაცვის სხვა დაწესებულებები სამკვიდრო ქონებას იღებენ არა როგორც სამემკვიდრეო-სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, არამედ სანივთო სამართლებრივი, რასაც მამკვიდრებლის რჩენის ფაქტი განაპირობებს, მიუხედავად იმისა იგი ცხოვრობდა თუ არა ასეთ დაწესებულებაში.

ყოველივე აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლში, მე-6 რიგი, უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად :

VI. მეექვსე რიგში - სახელმწიფო და სამეწარმეო-სამართლებრივი სუბიექტი იმ ქონებაზე, რომელიც მამკვიდრებელს გააჩნდა სამეწარმეო საზოგადოებაში ან კოოპერატივში წილის, აქციის ან პაის სახით.

<sup>61</sup> <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=113> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული- 15.06.2021

<sup>62</sup> რ.შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2019, გვ. 407

<sup>63</sup> <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=113#!> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული- 15.06.2021

<sup>64</sup> რ.შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2019, გვ. 407

ასევე მიმაჩნია, რომ უნდა დადგეს საკითხი სამეწარმეო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების პასუხისმგებლობისა მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე, მიღებული წილის პროპორციულად, როგორც მემკვიდრე. რაც შეეხება სარჩოს მიმცემ დაწესებულებებს ისინი შეძლება ჩაითვალოს მამკვიდრებლის კრედიტორებად და წარუდგინონ მემკვიდრეებს მოთხოვნა საერთო წესის მიხედვით.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინება, ვფიქრობ უფრო სრულყოფილს გახდის კანონით მემკვიდრეთა წრეს და დაიცავს მათ უფლებას მემკვიდრებაზე, ასევე დაცული იქნება მამკვიდრებლის კრედიტორების ინტერესებიც.

## 4.2 მამკვიდრებლის მიერ გაჩუქებული ნივთის სამკვიდროში ჩათვლა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1455-ე მუხლი, 2020 წლის 29 დეკემბრამდე, ითვალისწინებდა სამკვიდროს გაყოფისას თითოეული მემკვიდრის წილში იმ ქონების ღირებულების ჩათვლას, რომელიც მან საჩუქრის სახით მიიღო მამკვიდრებლისაგან სამკვიდროს გახსნამდე ხუთი წლის განმავლობაში. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 1455-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ქონების ჩუქების დროს, ნაჩუქარი ქონების ღირებულების სამკვიდრო წილში ჩათვლის თაობაზე მამკვიდრებლის ცხადად გამოხატული ნების გარეშე ითვალისწინებდა მემკვიდრისთვის საჩუქრის სახით გადაცემული ქონების ღირებულების ამ მემკვიდრის სამკვიდრო წილში ჩათვლას.<sup>65</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს მოქალაქე ხათუნა წოწორიამ. მოსარჩელე მხარე ითხოვდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1455-ე მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით. საქართველოს მოქმედი კონსტიტუციით კი საკუთრების უფლება დაცულია მე-19 მუხლის პირველი პუნქტით, ხოლო ამ უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძველი რეგლამენტირებულია მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით.

მოსარჩელის მტკიცებით, მამკვიდრებლის მიერ მემკვიდრის დასაჩუქრების შემთხვევაში, სამკვიდროს გახსნისას, სადავო ნორმის მიხედვით, ხდებოდა დასაჩუქრებული მემკვიდრის

<sup>65</sup><https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=113#!>  
გადამოწმებული- 19.06.2021

წილის უსაფუძვლოდ შემცირება, სხვა, თანაბარი რიგის კანონით მემკვიდრეთა სასარგებლოდ, რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ როგორც მემკვიდრის, ისე მამკვიდრებლის საკუთრების უფლებას. მოსარჩელე უთითებს აგრეთვე, რომ მამკვიდრებლის მიერ სხვა პირის დასაჩუქრება, მაგალითად მეზობლისა - არ მისცემდა სხვა მემკვიდრეს მსგავსი პრეტენზიის სამართლებრივ საფუძველს. მოსარჩელემ მოიყვანა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტლება საქმეზე ჰეიკე ქრონქისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, სადაც აღნიშნულია, რომ „მემკვიდრეობის უფლების ფუნქციას წარმოადგენს იმის უზრუნველყოფა, რომ მესაკუთრის გარდაცვალებასთან ერთად არ მოხდეს კერძო საკუთრების როგორც საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად წარმართვის საფუძვლის დაკარგვა, არამედ ის შენარჩუნდეს სამართალმემკვიდრეობის გზით. მემკვიდრეობის უფლების გარანტია პირთა მიერ საკუთრების შეძენის სპეციფიკურ შესაძლებლობას განამტკიცებს. ყოველივე აქედან გამომდინარე, მამკვიდრებლის უფლება, ანდერძის საფუძველზე განკარგოს საკუთარი ქონება და მემკვიდრის უფლება, შეიძინოს შესაბამისი საკუთრება მემკვიდრეობის გზით, წარმოადგენს ძირითადი უფლების სახით რეგლამენტირებული თავისუფლების გარანტიის განუყოფელ ნაწილს. ამასთანავე, მემკვიდრეობის უფლება წარმოადგენს პიროვნული თავისუფლების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს ასპექტს.“<sup>66</sup>

მოპასუხის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის განმარტებით, გასაჩივრებული ნორმა ემსახურება კანონისმიერ მემკვიდრეთა შორის წილთა სამართლიანი განაწილების პრინციპს და შესაბამისად, სხვა თანამემკვიდრეთა ინტერესების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს. მათი განმარტებით, კანონმდებელი მოქმედებს პრეზუმფციით, რომ მამკვიდრებელს სურს, ყველა მემკვიდრეს თანაბრად მოეპყროს. აგრეთვე, მიიჩნევა, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე 5 წლის განმავლობაში კანონისმიერი მემკვიდრეები ეწევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას. ამდენად, ვინაიდან მამკვიდრებელი არ იყენებს ანდერძით მემკვიდრეთა შორის სამკვიდროს ასიმეტრიულად განაწილების შესაძლებლობას, სადავო ნორმა უზრუნველყოფდა ინტერესთა გონივრულ დაბალანსებას. აგრეთვე, ვინაიდან დასაჩუქრებული პირი სამკვიდროს გახსნის შემდგომაც ინარჩუნებს ქონებაზე საკუთრებას და ხდება მხოლოდ ამ ქონების ღირებულების სამკვიდრო წილში ჩათვლა, საფრთხე არ ექმნებოდა მის საკუთრების უფლებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს, მემკვიდრეთა შორის სამკვიდრო მასიდან წილთა სამართლიანი განაწილება, მიიჩნია იმ ლეგიტიმურ ინტერესად, რომლის გამოც შესაძლებელია საკუთრების უფლების შეზღუდვა. ამავდროულად,

<sup>66</sup> <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1462> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 16.06.2021

სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმას საფუძველად უდევს პრეზუმფცია, რომ მამკვიდრებელს სურს, თანაბრად მოეპყროს ყველა თანაბარი რიგის მემკვიდრეს. მართალია, ზოგადად, კანონმდებლის მხრიდან მემკვიდრეობით-სამართლებრივი საკითხების მოწესრიგება პრეზუმფციის საფუძველზე დასაშვებია, თუმცა, კონკრეტულ ვითარებაში, შერჩეული ღონისძიება უნდა ახდენდეს საკითხის გადაწყვეტას ინტერესთა მაქსიმალური დაბალანსების გზით.<sup>67</sup>

ამ საკითხთან მიმართებაში, აღსანიშნავია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლი რომლის თანახმადაც „მემკვიდრეები, რომლებიც მოწვეულნი იქნებიან სამკვიდროს მისაღებად, ვალდებულნი არიან წილთა გათანაბრებისათვის გაყოფამდე სამკვიდროს მიათვალონ ყოველივე ის, რაც მათ მიიღეს მამკვიდრებლისაგან მის სიცოცხლეში მშობლების ქონებიდან გამოყოფის სახით, თუ მამკვიდრებელს სხვა რამ არ დაუდგენია.“ აღნიშნული მუხლის წყაროს, გერმანული სამოქალაქო კოდექსი წარმოადგენს და იმ შემთხვევას გულისხმობ, როდესაც მამკვიდრებელი თავისივე სიცოცხლეში, მემკვიდრეს წინასწარ გადასცემს საკუთრებაში იმ ქონების ნაწილს, რომელსაც იგი მიიღბდა სამკვიდროს გახსნის შემდეგ. რადგანაც მემკვიდრე წინასწარ იღებს თავის წილ ქონებას, ეს გარემოება შემდგომ გათვალისწინებული უნდა იქნეს სამკვიდროს გახსნისას, რაც თავის მხრივ გულისხმობს არა იმას, რომ მემკვიდრემ სიცოცხლეში მიღებული ქონება სამკვიდრო მასაში უნდა შეიტანოს, არამედ იმ გარემოების გათვალისწინებას, რომ მან თავის წილი ქონება უკვე მიიღო და დამატებით ქონებაზე პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს, თუ სამკვიდრო მასიდან კანონით მას უფრო მეტი არ ეკუთვნის, ასეთ შემთხვევაში იგი სამკვიდრო მასიდან მიიღებს თავის წილს, რათ მემკვიდრეთა წილები გათანაბრდეს.

ბოლო წინადადების სიტყვები: თუ მამკვიდრებელს ქონების გადაცემისას სხვა რამ არ დაუდგენია, ნიშნავს იმას, რომ მკაფიოდ უნდა იყოს გამოხატული მამკვიდრებლის ნება იმის შესახებ, რომ იგი თავისივე სიცოცხლეში მომავალ კანონით მემკვიდრეს გადასცემს მის წილ სამკვიდრო ქონებას, რომელიც შემდეგში სამკვიდროს გახსნისა და სამკვიდროს გამოყოფის დროს უნდა იქნეს გათვალისწინებული. თუკი ეს ნება მკაფიოდ არ არის გამოხატული, მაშინ იგულისხმება, რომ იღება ჩვეულებრივი ჩუქების ხელშეკრულება. ამრიგად, სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 1473-ე მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ მამკვიდრებელმა, თავის სიცოცხლეშივე ერთ-ერთ მემკვიდრეს საკუთრებაში გადასცა ქონების ის ნაწილი, რომელსაც ეს უკანასკნელი მიიღებდა სამკვიდროს გახსნის შემთხვევაში, ვინაიდან

---

<sup>67</sup> <https://www.constcourt.ge/ka/media/news> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული- 16.06.2021

მომავალმა მემკვიდრემ წინასწარ მიიღო თავისი წილი ქონება, აღნიშნული გარემოება მემკვიდრეთა მიერ გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამკვიდრო ქონების გაყოფის დროს.<sup>68</sup>

იურიდიული შედეგის მიხედვით 1455 და 1473 მუხლები არის ერთი და იგივე, კერძოდ საკუთრება გადადის ორივე შემთხვევაში მემკვიდრეზე ჯერ კიდევ მამკვიდრებლის სიცოცხლეში, უბრალოდ სხვაობა ამ გადაცემის სამართლებრივ საფუძველშია. 1455 მუხლის შემთხვევაში საკუთრების გადაცემის საფუძველია ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგება, კერძოდ ჩუქება, ხოლო 1473-ე მუხლის შემთხვევაში გადაცემის სამართლებრივი საფუძველია მემკვიდრეობით-სამართლებრივი გარიგება, კერძოდ "სამკვიდროს წინასწარ გამოყოფის შესახებ ხელშეკრულება"<sup>69</sup>

რადგანაც განსხვავებულ სამართლებრივ ინსტიტუტებს ეხება აღნიშნული მუხლები, უნდა მოხდეს მათი სწორი კვალიფიკაცია, სწორად უნდა განისაზღვროს თუ, რომელი განახორციელა მამკვიდრებელმა-ჩუქება, თუ სამკვიდროდან წილის სიცოცხლეში გამოყოფა. ნათელია, რომ ჩუქების შემთხვევაში ნაჩუქარი ქონების მემკვიდრის წილში ჩათვლა უსამართლო იქნება, ვინაიდან ამ შემთხვევაში განსხვავება აღარ იარსებებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1455 და 1473 მუხლებს შორის.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ქონების გაჩუქებისას, მამკვიდრებელი წინასწარ ვერ განსაზღვრავს ვერც სამკვიდროს გახსნის მომენტს და ვერც ამ დროს დასაჩუქრებული პირის უფლებრივ სტატუსს. შესაძლებელია, მამკვიდრებელს ქონების გასხვისებისას ჰქონდეს ამ გარიგებით მომავალში მემკვიდრეების წილებზე გავლენის მოხდენის სურვილი, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, მისი მკვეთრად გამოხატული ნების გარეშე, არაფერი მიუთითებს ასეთი სურვილის არსებობაზე. სადავო ნორმით კანონმდებელი საკანონმდებლო პრეზუმფციას ეყრდნობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც შეუძლებელია მამკვიდრებლის ნების დადგენა, არამედ მაშინაც, როდესაც ეს უკანასკნელი ცოცხალია და ახორციელებს ქონების ჩუქებით გასხვისებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ დაუშვებელია, კანონმდებელი მოქმედებდეს მხოლოდ საკუთარი ვარაუდის საფუძველზე და უგულებელყოფდეს მამკვიდრებლის, ქონების მესაკუთრის ნამდვილ ნებას. მამკვიდრებლის ნების საკანონმდებლო პრეზუმფციით ჩანაცვლება, როდესაც ქმედების გონივრული შეფასება აშკარად ქონების

<sup>68</sup> <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1940> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული- 16.06.2021

<sup>69</sup> <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1940> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული- 16.06.2021

უპირობოდ ჩუქების მიზანზე მიუთითებს, მოკლებულია ლოგიკურ ახსნას.<sup>70</sup> ამ დროს, კანონმდებელი ვარაუდობს, რომ მამაკვიდრებლის ნება რეალურად მის მიერ გამოხატულის საპირისპიროა. სამოქალაქო კანონმდებლობა უნდა იყოს ორიენტირებული მესაკუთრის თავისუფალი ნების პატივისცემაზე, ხოლო, მსგავსი პრეზუმფცია მამაკვიდრებლის ნების უგულებელყოფას ჰგავს, როდესაც მის მიერ ქონების გაჩუქების ფაქტს, გამჩუქებლის მითითების გარეშე, დამატებით შედეგებს უკავშირებს. ამავე დროს, სახეზე არ არის ლეგიტიმური ინტერესი, რომელიც ქონების განკარგვასთან დაკავშირებით მესაკუთრის ნების დამღევას გაამართლებდა.

აქედან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა არ ადგენს გონივრულ ბალანსს მამაკვიდრებლისა და მემკვიდრის ქონებრივ უფლებებსა და საჯარო ინტერესებს შორის, რის გამოც იგი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განმტკიცებულ საკუთრების უფლებას.

სავსებით ვიზიარებ მოსარჩელის მოთხოვნას და საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარ მიდგომას. არასწორად მიმაჩნია მეკვიდრეთა წილის შემცირება მამაკვიდრებლის სიცოცხლეში მისგან მიღებული საჩუქრის ღირებულების ფარგლებში, თუკი მამაკვიდრებლის ნება წინასწარ არ არის გამოხატული აღნიშნულთან მიმართებით.

აღნიშნული საკითხის მსგავსად, ვფიქრობ საინტერესოა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1378-ე მუხლის ანალიზი, რომელიც გულისხმობს სავალდებულო წილის გაზრდას გაჩუქებული ნივთის ხარჯზე: „თუ მამაკვიდრებელმა აჩუქა ნივთი მესამე პირს, მაშინ სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირს შეუძლია მოითხოვოს მისი შევსება იმ თანხით, რომლითაც გაიზრდება მისი სავალდებულო წილი, თუკი გაჩუქებული ნივთი სამკვიდროში შევა. საჩუქარი ანგარიშში არ ჩაითვლება, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის საჩუქრის გადაცემიდან ათი წელია გასული.“<sup>71</sup>

სსკ-ის 1455 მუხლის მსგავსად, აღნიშნული მუხლი არ გულისხმობს იმას, რომ მამაკვიდრებელს ეკრძალება თავისი ქონების გაჩუქება ან კიდევ გაჩუქებული ნივთის სამკვიდროში გათვალისწინება გამოიწვევს ჩუქების გაუქმებას და საჩუქრის უკან დაბრუნებას. არამედ ეს გულისხმობს ამ ნივთის ღირებულების გათვალისწინებას სავალდებულო წილის გაანგარიშებისას.<sup>72</sup> მაგალითად, თუ მამაკვიდრებელმა თავის სიცოცხლეში სამკვიდროს

<sup>70</sup> <https://www.constcourt.ge/ka/media/news/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული- 16.06.2021

<sup>71</sup> <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=113#!>

უკანასკნელად

იქნა

გადამოწმებული- 16.06.2021

<sup>72</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბ. 2000, გვ. 432



გახსნამდე 10 წლის მანძილზე გააჩუქა 2000 ლარის ღირებულების ნივთი, სამკვიდრო მასის ღირებულება კი შეადგენს 4000 ლარს, სავალდებულო წილის გამოთვლა უნდა მოხდეს  $2000+4000=6000$  ლარიდან.

ამ შემთხვევაშიც, სახეზე გვაქვს მამკვიდრებლის თავისუფალი ნების ორგონის უგულებელყოფა, ვინაიდან კანონმდებელი მამკვიდრებლის მიერ ქონების გაჩუქების ფაქტს, გამჩუქებლის ნებისა და მითითების გარეშე, დამატებით შედეგებს უკავშირებს და მამკვიდრებლის მიერ ანდერძით გათვალისწინებულ მემკვიდრეს უმცირებს სამკვიდრო მასას, იმ პირის (სავალდებულო წილის მიმღების) სასარგებლოდ, რომლისთვისაც მამკვიდრებელმა საერთოდ არ ისურვა ქონების გადაცემა. ასეთი პირების ინტერესების დასაცავად სავალდებულო წილის არსებობა კანონმდებლობაში სრულებით სავარაუდოა და დაუშვებლად მიმაჩნია ისეთი ბერკეტების არსებობა კანონში, რომელიც ზედმეტად შეზღუდავს და შელახავს მამკვიდრებლის თავისუფალ ნებას. ამიტომ ვფიქრობ უნდა დადგეს საკითხი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1378-ე მუხლის ძალადაკარგულად გამოცხადებისა.

### 4.3 საანდერძო დანაკისრის ხარვეზები კანონმდებლობაში

ტერმინი „საანდერძო დანაკისრი“ ერთმნიშვნელოვნად მიგვითითებს, რომ მონდერძეს შეუძლია დააკისროს მემკვიდრეს ერთი ან რამდენიმე პირის სასარგებლოდ რაიმე ვალდებულების შესრულება სამკვიდროს ხარჯზე. მონდერძის ამ განკარგულებას ლეგატი ეწოდება. ხოლო პირს, რომელის სასარგებლოდაცაა ჩანაწერი ანდერძში - ლეგატარი.

ლეგატარი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, ხოლო მოქმედების შესრულება მხოლოდ მემკვიდრეს შეიძლება დაეკისროს, მნიშვნელობა არ აქვს მემკვიდრე ფიზიკური პირია თუ იურიდიული.

მოქმედი კანონმდებლობით საანდერძო დანაკისრი მხოლოდ ანდერძში შეიძლება არსებობდეს, სხვა ნებისმიერი სახით არსებული დოკუმენტი ბათილია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1385-ე მუხლში ითვალისწინებს მონდერძის უფლებას დააკისროს მემკვიდრეს, რომელზედაც საცხოვრებელი სახლი, ბინა ან სხვა საცხოვრებელი სადგომი გადადის, სადგომით ან მისი განსაზღვრული ნაწილით სამისდღეშიო სარგებლობის უფლების გადაცემა იმ პირისთვის, რომელიც მამკვიდრებელთან ერთად ცხოვრობდა არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში სამკვიდროს გახსნამდე. აქ აღსანიშნავია, რომ საცხოვრებელი სადგომით მუდმივი სარგებლობის უფლება მემკვიდრეობით არ გადადის, იგი განუსხვისებელია და არც იმის საფუძველს იძლევა, რომ ლეგატარმა თავისი ოჯახით იცხოვროს

იქ. ამასთან დაკავშირებით ვფიქრობთ, რომ უმჯობესი იქნება, თუ საანდერძო დანაკისრის მიმღების ოჯახის წევრებიც შეძლებენ საცხოვრებელი სადგომით სამისდღეშიო სარგებლობის უფლებას, მხოლოდ დანაკისრის მიმღების სიცოცხლის მანძილზე.

აღსანიშნავია სსკ-ის 1392 მუხლი: „თუ ანდერძით მემკვიდრეს, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება ევალება, სავალდებულო წილის მიღების უფლებაც აქვს, მაშინ იგი საანდერძო დანაკისრს ასრულებს მისთვის ნაანდერძები სამკვიდროს მხოლოდ იმ ნაწილის ფარგლებში, რაც სავალდებულო წილის ზემოთ მიიღო.“ ვფიქრობთ, მიზანშეწონილია აღნიშნული მუხლის დაზუსტება, რადგან ანდერძით მემკვიდრეს, რომელსაც აქვს სავალდებულო წილის მიღების უფლება, ლეგატის შესრულება, მხოლოდ სავალდებულო წილის ზემოთ მიღებულ მემკვიდრეობაზე არ უნდა ეკისრებოდეს, რადგან ამ შემთხვევაში ლეგატი სრულად არ შესრულდება.

## **4.4 სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით სამკვიდრო მოწმობის მიღების პრობლემები**

ერთ-ერთ მეტად აქტუალურ პრობლემას წარმოადგეს სამკვიდრო მოწმობის მიღება მემკვიდრეების მიერ, რომლებმაც გაუშვეს სანოტარო ბიუროსთვის მიმართვის 6 თვიანი ვადა და სამკვიდრო მიიღეს მასზე ფაქტობრივი დაუფლებით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები, რომლის თანახმადაც , სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდერძით მემკვიდრე. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის თანახმად კი, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს 6 თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

სასამართლოს განმარტებით, სამკვიდროს გახსნის შედეგად მემკვიდრეობის მიღებისათვის მხოლოდ მემკვიდრეობის უფლების ქონა საკმარისი არაა, ანუ მხოლოდ უფლების არსებობა არ წარმოშობს იურიდიულ შედეგს. აღნიშნული უფლების განხორციელებლად აუცილებელია კონკრეტული ქმედების განხორციელება - მემკვიდრეობის მიღება. მემკვიდრეობის სამართალი სამკვიდროს მიღების ორ ფორმას იცნობს: მემკვიდრეობის მიღებას სანოტარო ბიუროში განაცხადის შეტანის გზით და სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი დაუფლებითა და მართვით.

სანოტარო ბიუროში განაცხადის შეტანის გზით ნების გამოხატვა სამკვიდროს მიღებაზე შეზღუდულია დროით. ამ მოქმედების განხორციელების შედეგად მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, ანუ ეს ნიშნავს, რომ მემკვიდრემ სამკვიდრო უკვე შეიძინა და იგი არის მისი მესაკუთრე.

კანონმდებელი მითითებულ დანაწესში უპირატეს მნიშვნელობას მემკვიდრის ნების დადგენას ანიჭებს- სურს თუ არა მას სამკვიდროს მიღება. სამართლებრივი ბუნებით სამკვიდროს მიღება ცალმხრივი გარიგებაა. იგი ისეთი იურიდიული მოქმედებაა, რომელიც გამოხატავს სამკვიდროს მიღების სურვილს, ანუ მემკვიდრის ნებას.

აგრეთვე, სასამართლოს განმარტებით, ისეთ მოქმედებად, რომელიც სამკვიდროს მიღების ფაქტს ცხადჰყოფს, შეიძლება მიჩნეულ იქნეს სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს წინაშე სამკვიდრო მასაზე პრეტენზიის განცხადება.

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილი სამკვიდროს მიღებას უკავშირებს ასევე სამკვიდროს ფლობას და მართვას, რაც უნდა მოხდეს სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის განმავლობაში. ანუ, ფლობა და მართვა უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ მემკვიდრემ ამით იკისრა მესაკუთრის ყველა უფლება და ვალდებულება და განახორციელა ბატონობა როგორც მესაკუთრე.

აღნიშნული ნორმები სამკვიდროს მიღებას უკავშირებს მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვის განმავლობაში მემკვიდრის მიერ სამკვიდროს დაუფლების სურვილს, რისი ერთ-ერთი გამოხატულებაცაა მამკვიდრებლის დარჩენილი ქონების ფაქტობრივად მიღება და მართვა. ამდენად, სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლების დროს განმსაზღვრელია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ელემენტები: სამკვიდროს მართვა-დაუფლებისკენ მიმართული ნება და ამგვარი ნების მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვეში გამოვლენა. სასამართლო განმარტავს, რომ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა შეიძლება განხორციელდეს სახვასდასხვა გზით, კონკრეტულად: სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა შეიძლება გამოიხატოს სამკვიდრო უძრავი ქონებით სარგებლობაში, ამ ქონებაში ცხოვრების ფაქტით, გაქირავებით, მისი მოვლა-პატრონობით, სამკვიდროში არსებული მოძრავი ნივთების დაუფლებითა და სარგებლობით.<sup>73</sup>

ხშირად, მამკვიდრებლის გარდაცვალების დღიდან, მემკვიდრეები, რეალურად ეუფლებიან, ფლობენ, სარგებლობენ და მართავენ სამკვიდრო ქონებას, თუმცა სამწუხაროდ ქართული საზოგადოების დაბალი სამართლებრივი კულტურის და ნაკლებად ინფორმირებულობის გამო მათ ფაქტობრივად წარმოდგენაც არა აქვთ მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებულ

<sup>73</sup> სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 14 თებერვალი, 2013 წელი, თბ., საქმე №28/4097-12

საკანონმდებლო პროცედურებზე, ხშირად სწრედ ეს არაინფორმირებულობა იწვევს რიგი პრობლემების წარმოშობას სამკვიდროს მიღებისას.

ყველა თანხმდება, რომ თუკი მემკვიდრემ სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილ 6 თვიან ვადაში მიმართა სანოტარო ბიუროს და წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია მარტივია სამკვიდროს მიღების ფაქტის დადგენა და სამკვიდრო მოწმობის გაცემა, მაგრამ საკითხი რთულდება როდესაც მემკვიდრე ფაქტობრივად დაეუფლა სამკვიდრო ქონებას, შეუდგა მის მართვას, თუმცა გაუშვა კანონით დადგენილი ექვს თიანი ვადა. ამ დროს იგი ვალდებულია ამტიცოს, რომ მან სამკვიდრო მიიღო კანონით დადგენილი მეორე გზით - სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით.

აღნიშნული ფაქტის დასადაგენად სანოტარო ბიუროს უნდა წარედგინოს სანოტარო მოქმედებების წესის შესახებ ინსტრუქციის 85-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულებები.

ერთ-ერთ ასეთ მტკიცებულებას წარმოადგენს იმ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი, რითაც დგინდება მამკვიდრებელისა და მემკვიდრის, სამკვიდროს გახსნიდან სამკვიდროს მიღების ვადის ამოწურვამდე თუნდაც დროის მცირე მონაკვეთში, ერთსა და იმავე საცხოვრებელ ადგილას რეგისტრაცია. ამასთანავე, ეს ნორმა მოქმედებს მიუხედავად იმისა, რა უფლებრივი მიმართება ჰქონდა მამკვიდრებელს ან რა უფლებრივი მიმართება აქვს მემკვიდრეს იმ ბინის/სახლის მიმართ, რომელშიც იყვნენ ისინი რეგისტრირებულნი. ამ შემთხვევაში ივარაუდება, რომ მემკვიდრე ფაქტობრივად დაეუფლა სამკვიდრო მასაში შემავალ მოძრავ ნივთებს ან სამკვიდრო მასაში შემავალ ბინას-საცხოვრებელ სახლს, რომელშიც ამ ქვეპუნქტის პირველ წინადადებაში მითითებულ დროის მონაკვეთში რეგისტრირებულნი იყვნენ მემკვიდრე და მამკვიდრებელი.<sup>74</sup>

დღევანდელობაში დამკვიდრებული პრაქტიკით, სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის კლასიკური მაგალითია, მამკვიდრებლის და მემკვიდრის ერთიდაიმავე მისამართზე რეგისტრაცია სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის. ინსტრუქციის თანახმად კი, მნიშვნელობა არ აქვს რა უფლებრივი მიმართება აქვს ან ქონდა მემკვიდრეს იმ ქონების მიმართ, რომელშიც არის ან იყო რეგისტრირებული სამკვიდროს მიღებისათვის კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში, დროის თუნდაც მცირე მონაკვეთში.

გავრცელებული პრაქტიკის თანახმად, ნოტარიუსები არ გასცემენ სამკვიდრო მოწმობას თუკი სახეზე არ არის მამკვიდრებლისა და მემკვიდრის ერთ მისამართზე რეგისტრაციის ფაქტი,

<sup>74</sup><https://blh.com.ge/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A6%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული -17.06.2021

მცირე დროის მონაკვეთში მაინც, ამიტომ მემკვიდრეებს ამ ფაქტის დასამტკიცებლად და სამკვიდრო მოწმობის მიღებისთვის უწევთ სასამართლოში წასვლა, რაც თავის მხრივ ტვირთავს სასამართლოებს და დროში გაწელილს ხდის აღნიშნულ საკითხს.

იმისათვის, რომ მემკვიდრეებმა მარტივად შეძლონ მსგავსი წინააღმდეგობის გადალახვა, სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე, აუცილებელია შემუშავდეს შესაბამისი ნორმები აღნიშნულის მოსაწესრიგებლად.

ყოველი სამემკვიდრეო საქმე ერთმანეთისგან განსხვავდება და ამიტომ ძნელია ერთიანი სტანდარტის შემუშავება, თუმცა ვფიქრობ უნდა მოიძებნოს რაიმე გამოსავალი აღნიშნული საკითხის გასამარტივებლად მემკვიდრეთა სასარგებლოდ, რაც თავის მხრივ განტვირთავს საერთო სასამართლოებს იმ აუარებელი საქმეების განხილვისაგან რომლების წინაშეც იმყოფება იგი და უფრო ეფექტურს და სწრაფს გახდის სასამართლო პროცესს.

ყოველივე აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ნოტარიუსებს უნდა მიენიჭოთ, სასამართლოს მსგავსად, უფლებამოსილება, რომ მოწმეთა ახსნა-განმარტების საფუძველზე დაადგინონ მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის ქონების ფაქტობრივი ფლობა-სარგებლობის ფაქტი. აღნიშნული არ გამორიცხავს პრობლემების წარმოშობის შესაძლებლობს, თუმცა მსგავსი პრობლემები იშვითი იქნება და უკვე ეს გახდება სასამართლოს განსჯადი და არა სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტის დადგენა.

## თავი V. კვლევის შედეგები

კვლევის ყოველი თავი დაწერილია თეორიულ მასალაზე დაყრდნობით, რომელთა საბოლოო ანალიზითაც მივედით შედეგებამდე.

დასაწყისში ყველა გამოყენებულ ლიტერატურას მიმოვიხილავთ, რომლითაც დავინახეთ მემკვიდრეობის წარმოშობის, განვითარებისა და მისი დანიშნულების შესახებ კაცობრიობის ისტორიაში, რომ მემკვიდრეობის უფლება დასაბამიდან არსებობს და მარადიულად იქნება ადამიანის არსებობის თანმდევი აუცილებლობა. მემკვიდრეობა ყველა შემთხვევაში საბოლოო მიზნად გარდაცვლილის ოჯახის წევრთა და ნათესავთა ინტერესების დაცვისკენ იყო მიმართული.

მომდევნო თავში განხილულია და ნათლად არის წარმოდგენილი მემკვიდრეობის არსი და სახეები, თუ ვინ არის მამკვიდრებელი და ვინ მემკვიდრე, რას წარმოადგენს სამკვიდრო მასა და ვინ ვერ გახდება მემკვიდრე ან ვის შეიძლება ჩამოერთვას მემკვიდრეობის უფლება.

შემდეგ თავში კი, შედარებითი ანალიზის მეთოდით, მიმოვიხილე ქართული მემკვიდრეობის საკითხების მიმართება საერთაშორისო კერძო სამართალთან, რის შედაგადაც წარმოჩინდა კოლიზიური საკითხები და ჩამოყალიბდა მათი გადაჭრის გზები.

მომდევნო თავში და ქვეთავებში კი, შედარებით-სამართლებრივი და ლოგიკური დასკვნების მეთოდებით, განვიხილე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კონკრეტულ მუხლებში არსებული ხარვეზები, ასევე ამ მუხლების გამოყენების პროცესში წამოჭრილი პრობლემები სასამართლო და სანოტარო პრაქტიკის საფუძველზე და შევეცადე ჩამომეყალიბებინა მათი მოგვარების რეკომენდაციები, რომლებსაც უფრო კონკრეტულად დასკვნის სახით წარმოვადგენ.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მემკვიდრეობის სამართალი პირველ რიგში გულისხმობს ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების გადასვლას მამკვიდრებლის უფლებამონაცვლეებზე, თუმცა მისი შემოფარგვა მხოლოდ ქონებრივი უფლება-მოვალეობებით და მითუმეტეს ქონებით ყოვლადაუშვებელია. ქონებრივის გარდა სამკვიდრო შესაძლოა არაქონებრივი უფლება-მოვალეობებით იყოს დატვირთული, როგორც ვიცით მემკვიდრეებზე გადადის მამკვიდრებლის ვალების გასტუმრების ვალდებულებაც, ყოველივე აქედან გამომდინარე კი მემკვიდრეობის ურთიერთობები ფართო სპექტრს წარმოადგენს და არ შეიძლება მათი ამოწურვა მხოლოდ ქონებრივი ან სანივთო ურთიერთობებით. როგორც რ. შენგელია და ე. შენგელია აღნიშნავენ, „მემკვიდრეობის სამართალი სამოქალაქო სამართლის არა რომელიმე ინსტიტუტთან უნდა იყოს დაკავშირებული, არამედ მას სრულიად დამოუკიდებელი ადგილი უნდა გააჩნდეს, რადგან იგი მოიცავს არა მარტო ვალდებულებითი სამართლის, არამედ ინტელექტუალური საკუთრებისა და საოჯახო სამართლის პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე სამეწარმეო, შრომის სამართლისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ელემენტებიცაა ჩართული, ამიტომ მემკვიდრეობის სამართალი სამოქალაქო სამართლისა და კერძო სამართლის სხვა დარგების დამაკავშირებელ რგოლად უნდა იქნეს მიჩნეული.“

ნაშრომზე მუშაობისას გავეცანით, სხვადასხვა მეცნიერის მოსაზრებებს ზოგადად მემკვიდრეობის კანონმდებლობაზე და მისი გამოყენების პროცესში წამოჭრილი პრობლემების შესახებ. პირველ რიგში, კიდევ ერთხელ, ხაზი უნდა გავუსვათ მემკვიდრეობის სამართლის ძალიან დიდ მნიშვნელობას, საზოგადოების განვითარების საქმეში. რომ არა მემკვიდრეობის სამართალი, ადამიანები დაკარგავდნენ მოტივაციას დოვლათის მოხვეჭისათვის. სწორედ ამიტომ უმნიშვნელოვანესია მემკვიდრეობით სამართალს არეგულირებდეს სრულყოფილი

კანონი, რომლითაც სათანადოდ იქნება დაცული და რეალიზებული მამკვიდრებლის ინტერესები და ასევე ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე სხვა სუბიექტების უფლებები.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს 1998 წლის კანონის 55-ე მუხლთან მიმართებაში შემოთავაზებული რეკომენდაცია, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. მემკვიდრეობითი ურთიერთობები წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც მამკვიდრებელი გარდაცვალებისას განეკუთვნებოდა. მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მას ჰქონდა უკანასკნელი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს სამართალი.
2. აღნიშნული წესი არ ვრცელდება ნივთებზე, რომლებიც იმყოფება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე და ექვემდებარება ქონების ადგილსამყოფელის სამართლით მოწესრიგებას.

აღნიშნულ საკითხზე ნაწილობრივ უკან დახევა სახელმძღვანელო პრინციპისაგან იმდენად მოხერხებული იქნება, რამდენადაც გამართლებული პრაქტიკული თვალსაზრისით, ვინაიდან უმჯობესია სამართალზე მითითება იქნეს ისეთად, როგორსაც მას ითვალისწინებს უცხოური კოლიზიური ნორმა, ვიდრე ძალდატანებით შემოღებული იყოს კვალიფიკაციის კრიტერიუმები, რომლებიც, საბოლოოდ, უცხო დარჩება საკუთარი სამართლებრივი სისტემისთვის.

არაერთხელ აღინიშნა, რომ მემკვიდრეობის ორი სახე არსებობს, კანონით მემკვიდრეობა და ანდერძით მემკვიდრეობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირველ რიგში განიხილავს კანონით მემკვიდრეობას და მხოლოდ ამის შემდეგ ანდერძით მემკვიდრეობას, რაც ტოვებს იმის შთაბეჭდილებას, რომ კანონმდებელი უპირატესობას კანონით მემკვიდრეობას ანიჭებს, მაშინ როდესაც ანდერძი და მამკვიდრებლის ინტერესი უმნიშვნელოვანესია.

ამიტომ ვფიქრობთ, რომ უმჯობესი იქნება კანონმდებელმა მოახდინოს ანდერძით მემკვიდრეობის წინა პლანზე წამოწევა, რადგან მამკვიდრებლის ნება კანონის დანაწესზე უფრო მნიშვნელოვანია, ამას მოიაზრებს კანონმდებელიც, როდესაც კანონით მემკვიდრეობის საკითხს მხოლოდ ანდერძის არარსებობის შემთხვევაში აყენებს. თუმცა, რატომღაც სამოქალაქო სამართლის კოდექსი მხოლოდ კანონით მემკვიდრეობის შემდეგ განიხილავს ანდერძით მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.



როგორც აღვნიშნეთ, როდესაც მამკვიდრებლის აშკარა ნება არაა დაფიქსირებული ანდერძის სახით, კანონმა უნდა განსაზღვროს სამკვიდროს ბედი ისე, რომ არ შეილახოს მამკვიდრებლის საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება, დაიცვას ყველა იმ პირის უფლება, ვისთვისაც მამკვიდრებელი ისურვებდა, რომ თავის ქონება დაეტოვებინა. ამიტომ ვფიქრობ დასახვეწია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლი, რომელიც კანონით მემკვიდრეთა რიგებს განსაზღვრავს. პირველ რიგს უნდა დაემატოს ის პირი, რომელიც ყველა პირობას აკმაყოფილებს როგორც ოჯახის, ისე ქორწინების ცნებისა, გარდა ქორწინების ფაქტის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში რეგისტრაციისა, ყოველივე ეს კი უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი მტკიცებულებებით, ასეთი ფაქტის ერთ-ერთ მტკიცებულებას შეიძლება გაუთანაბრდეს ჯვრისწერის მოწმობა და ა.შ. ეს ასევე გაგებულა არ უნდა იქნეს, როგორც არარეგისტრირებული ქორწინებების წახალისება, არამედ მამკვიდრებლის საკუთებისა და მემკვიდრეობის უფლებიდან გამომდინარე, იმ პირის მემკვიდრედ ჩათვლა, რომლისთვისაც მამკვიდრებელი ნამდვილად ისურვებდა თავისი ქონების გადაცემას.

ასევე შესაძლოა დადგეს საკითხი, პირველი რიგის მემკვიდრეებთან ერთად, მემკვიდრეობა მიიღონ შემდგომი რიგის მემკვიდრეებმაც, ხშირია შემთხვევა, როდესაც პირველი რიგის მემკვიდრეები საერთოდ არ იჩენენ ყურადღებას მამკვიდრებლის მიმართ, არ იღებენ მის მოვლა-პატრონობაში მონაწილეობას და ყოველივე ამას მეორე ან მესამე რიგის მემკვიდრეები აკეთებენ, თუმცა მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მთელი ქონება პირველი რიგის მემკვიდრეს რჩება, ასეთ შემთხვევაში უნდა არსებობდეს წილთა გადანაწილების რაიმე გზა, რომ მაგალითად პირველი რიგის მემკვიდრეს ამ დროს გააჩნდეს პრეტენზია მხოლოდ ქონების 50 ან 60 პროცენტზე, დანარჩენი კი შემდგომი რიგის მემკვიდრეებს გადაუნაწილდეთ.

ვფიქრობთ, დასახვეწია სახელმწიფოსადმი მიდგომაც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლში აღნიშნულია, რომ: „თუ არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, ან არც ერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო, ანდა, როცა ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება, უმკვიდრო ქონება გადადის სახელმწიფოზე“.

ამასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესოა სახელმწიფოს სტატუსი, იგი ქონებას იღებს, როგორც მემკვიდრე თუ მესაკუთრის როლში გამოდის. პრაქტიკაში შესაძლოა იყოს შემთხვევა, რომ მამკვიდრებელმა ქონება სახელმწიფოს უანდერძოს, ასეთ შემთხვევაში რა თქმა უნდა, სახელმწიფო ისარგებლებს მემკვიდრის სტატუსით. თუმცა, როდესაც საქმე კანონით მემკვიდრეობას ეხება, სტატუსის განსაზღვრა რთულდება, იმ მხრივ, რომ სახელმწიფო კანონით მემკვიდრეთა არცერთ რიგს არ განეკუთვნება. ამასთანავე, სხვა მემკვიდრეთაგან განსხვავებით, მას მემკვიდრეობის მიღებაზე უარის თქმის უფლება არ აქვს. მაგრამ სახელმწიფოს

კანონისმიერ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესოა სსკ-ის 1492-ე მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ: „უმკვიდრო ქონების სახელმწიფოზე გადასვლისას სახელმწიფო პასუხს აგებს უმკვიდრო ქონების შესაბამისი ნაწილით მამკვიდრებლის ვალებზე ისე, როგორც მემკვიდრე“. აქედან გამომდინარე სახელმწიფო შეიძლება ნამდვილად ჩაითვალოს კანონით მემკვიდრედ.

მიუხედავად აღნიშნულისა, სახელმწიფო დღემდე არ შედის კანონით მემკვიდრეთა არცერთი რიგის შემადგენლობაში, ვფიქრობ აუცილებელია მისი სტატუსის განსაზღვრა სსკ-ის 1336-ე მუხლით და სახელმწიფოს როგორც მეექვსე რიგის მემკვიდრედ დამატება ან მეოთხე და მეხუთე რიგების გაერთიანება და სახელმწიფოს მეხუთე რიგის კანონით მემკვიდრედ მოხსენიება.

ასევე მიმაჩნია, რომ უნდა დადგეს საკითხი სამეწარმეო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების პასუხისმგებლობისა მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე, მიღებული წილის პროპორციულად, როგორც მემკვიდრე. რაც შეეხება სარჩოს მიმცემ დაწესებულებებს ისინი შეძლება ჩაითვალოს მამკვიდრებლის კრედიტორებად და წარუდგინონ მემკვიდრეებს მოთხოვნა საერთო წესის მიხედვით.

სავსებით ვიზიარებ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1455-ე მუხლთან მიმართებით, რომ დაუშვებელია მემკვიდრეთა წილის შემცირება მამკვიდრებლის სიცოცხლეში მისგან მიღებული საჩუქრის ღირებულების ფარგლებში, თუკი მამკვიდრებლის ნება წინასწარ არ არის გამოხატული აღნიშნულთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე კი ვთვლი, რომ სსკ-ის 1378-ე მუხლი „ „თუ მამკვიდრებელმა აჩუქა ნივთი მესამე პირს, მაშინ სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირს შეუძლია მოითხოვოს მისი შევსება იმ თანხით, რომლითაც გაიზრდება მისი სავალდებულო წილი, თუკი გაჩუქებული ნივთი სამკვიდროში შევა. საჩუქარი ანგარიშში არ ჩაითვლება, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის საჩუქრის გადაცემიდან ათი წელია გასული” - უსამართლოდ უმცირებს ანდერძისმიერ მემკვიდრეებ წილს, რადგან ამ შემთხვევაშიც, სახეზე გვაქვს მამკვიდრებლის თავისუფალი ნების ორგზის უგულებელყოფა, ვინაიდან კანონმდებელი მამკვიდრებლის მიერ ქონების გაჩუქების ფაქტს, გამჩუქებლის ნებისა და მითითების გარეშე, დამატებით შედეგებს უკავშირებს და მამკვიდრებლის მიერ ანდერძით გათვალისწინებულ მემკვიდრეს უმცირებს სამკვიდრო მასას, იმ პირის (სავალდებულო წილის მიმღების) სასარგებლოდ, რომლისთვისაც მამკვიდრებელმა საერთოდ არ ისურვა ქონების გადაცემა. ასეთი პირების ინტერესების დასაცავად სავალდებულო წილის არსებობა კანონმდებლობაში სრულებით საკმარისია და დაუშვებლად მიმაჩნია ისეთი ბერკეტების არსებობა კანონში, რომელიც ზედმეტად შეზღუდავს

და შელახავს მამკვიდრებლის თავისუფალ ნებას. ამიტომ ვფიქრობ უნდა დადგეს საკითხი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1378-ე მუხლის ძალადაკარგულად გამოცხადებისა.

ასევე საყურადღებოა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1385-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მოანდერძის უფლებას დააკისროს მემკვიდრეს, რომელზედაც საცხოვრებელი სახლი, ბინა ან სხვა საცხოვრებელი სადგომი გადადის, სადგომით ან მისი განსაზღვრული ნაწილით სამისდღეშიო სარგებლობის უფლების გადაცემა იმ პირისთვის, რომელიც მამკვიდრებელთან ერთად ცხოვრობდა არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში სამკვიდროს გახსნამდე. ამასთან დაკავშირებით ვფიქრობთ, რომ უმჯობესი იქნება, თუ საანდერძო დანაკისრის მიმღების ოჯახის წევრებიც შეძლებენ საცხოვრებელი სადგომით სამისდღეშიო სარგებლობის უფლებას, მხოლოდ დანაკისრის მიმღების სიცოცხლის მანძილზე.

აღსანიშნავია სსკ-ის 1392 მუხლიც, სადაც ვკითხულობთ „თუ ანდერძით მემკვიდრეს, რომელსაც საანდერძო დანაკისრის შესრულება ევალება, სავალდებულო წილის მიღების უფლებაც აქვს, მაშინ იგი საანდერძო დანაკისრს ასრულებს მისთვის ნაანდერძები სამკვიდროს მხოლოდ იმ ნაწილის ფარგლებში, რაც სავალდებულო წილის ზემოთ მიიღო.“ ვფიქრობთ, მიზანშეწონილია აღნიშნული მუხლის დაზუსტება, რადგან ანდერძით მემკვიდრეს, რომელსაც აქვს სავალდებულო წილის მიღების უფლება, ლეგატის შესრულება, მხოლოდ სავალდებულო წილის ზემოთ მიღებულ მემკვიდრეობაზე არ უნდა ეკისრებოდეს, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლოა ლეგატი სრულად არ შესრულდეს.

რაც შეეხება სამკვიდრო მოწმობის, ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღებას, ნოტარიუსებს უნდა მიენიჭოთ, სასამართლოს მსგავსად, უფლებამოსილება, რომ მოწმეთა ახსნა-განმარტების საფუძველზე დაადგინონ მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის ქონების ფაქტობრივი ფლობა-სარგებლობის ფაქტი. რაც არ გამორიცხავს პრობლემების წარმოშობის შესაძლებლობს, თუმცა მსგავსი პრობლემები იშვითი იქნება და უკვე ეს გახდება სასამართლოს განსჯადი და არა სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტის დადგენა.

ამრიგად, მემკვიდრეობის სამართლის ხასიათიდან გამომდინარე, აუცილებელია კანონმდებელმა მაქსიმალურად სრულყოფილად გაითვალისწინოს ყველა ნიუანსი, სავარაუდო სუბიექტის უფლებები და ინტერესი. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ კანონს რომელიც ლახავს ისეთ უმნიშვნელოვანეს უფლებას, როგორცაა საკუთრების და მემკვიდრეობის უფლება.

## გამოყენებული ლიტერატურა

### მონოგრაფიები:

1. ახვლედიან ზ., მემკვიდრეობის უფლება საბჭოთა კანონმდებლობაში, თბ., 1994 ;
2. ახვლედიანი ზ., მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2007 ;
3. დოლიძე ი., საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ., 1960 ;
4. ენგელსი ფ., ოჯახის , კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938 ;
5. ვახტანგ VI –ის სამართლის წიგნთა კრებული, ტ. I თბ.,1963 ;
6. ზარნაძე ე., მემკვიდრეობის სამართალი, კრებულში, სასამართლო პრაქტიკის კომენტარი სამოქალაქო და საკორპორაციო სამართალში, თბ., 2003 ;
7. ზოიძე ბ., ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობითი სამართალი, ბათ., 1992 ;
8. ლობჯანიძე გ., რომის სამოქალაქო (კერძო) სამართალი, ქუთ., 2009 ;
9. ლობჯანიძე გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2015 ;
10. მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2003 ;

11. ნადიზაიძე ლ., საკუთრების შექმნის სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2002 ;
12. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, რედ. ლ.ჭანტურია წიგნი I თბ., 2017 ;
13. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბ., 2000 ;
14. ქართული სამართლის ძეგლები, საერთო საკანონმდებლო ძეგლები ტ 2 (XI-XIXსს) თბ., 1965 ;
15. შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2019 ;
16. ხვედელიანი დ., კანონით მემკვიდრეობის კოლიზიური საკითხები საერთაშორისო კერძო სამართალში, კრებულში, ზურაბ ახვლედიანის ხსოვნისადმი.
17. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1929 ;
18. ჯაფარიძე ს., საბჭოთა მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 1960 ;
19. Пушкин А.А., Действующее законодательство о браке и семье , Харьков., 1992

### **სასამართლო პრაქტიკა:**

20. კონსტიტუციური სარჩელი, საქართველოს მოქალაქე ციალა პერტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ №1351
21. სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 14 თებერვლის განჩინება, საქმე №2ბ/4097- 12
22. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქართველოს მოქალაქე ხათუნა წოწორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ №2/3/1337

### **ნორმატიული აქტები:**

23. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995;
24. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997;

### **ვებ. გვერდები**

25. <http://www.supremecourt.ge/>
26. <https://blh.com.ge/>

27. <https://www.constcourt.ge/ka>

28. [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)